ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 12 (1450) | 30.IV-7.V, 1996 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1992 წლის მარტი. ოდეს ბატონი ედუარდი სამშობლოში დაბრუნდა

თენგიზი

— რისთვის მოსულხარ, მოყვრად თუ მტრადა?

ედუარდი

— მოყვრად, გულფიცხო, იყავ მშვიდადა

თენგიზი

ხოშ გელდი, ძამო, მე ვარ მდიდარი,
აქ მე და ჯაბას გვაქვს დღეს მეფობა,
გადავუბუგეთ ორგულთ სახლ-კარი
და ვერას გვაკლებს ვერავის მტრობა.
თუმც ორგულთან ვარ დაუნდობარი,
მაგრამ ერთგულთან მეც ვიცი ძმობა!
ჩამოხედ, შენს ტახტს გაჩვენებ, წამო,
ღარიბულადა მე დაგიხვდები
და ნუ დამძრახავ უცადსა, ძამო,
თუ ჯორჯ ბუშივით ვერ დაგიხვდები!

* * *

შემდეგ მოვიდა იგი სტუმარი,
თენგოს პირდაპირ დადგა მღიმარი.
მღიმარად იდგნენ ასე დიდხანად
და რას ფიქრობდნენ გულში იმხანად,
წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა...

გივი ლომინაძე: დღეს პირველად ვამბობ, რომ...

მე-3 გვ.

„გარბიხართ ხომ შევარდნაძისტებო, და ავტომატის ჯერი მოუშვა“...

მე-4 გვ.



ერთ ქარქაშში ორი ხმალი ვერ ჩაეტევა

რუსთაველის საზოგადოების ყრილობა

შინაური მღვდელს შენდობა არა აქვს

ამ დღეებში ერთაშორისი კონფლიქტების მოწესრიგებას მიეძღვნა ქობულეთში გამართული სხვადასხვა ქვეყნების ჟურნალისტთა კონფერენცია.

ამასთან დაკავშირებით შაბათს, 27 აპრილს ჟურნალისტთა სახლში პრეს-კონფერენცია გამართეს ღონისძიების ორგანიზატორებმა.

ძირითადი თემა იყო ჟურნალისტის როლი კონფლიქტურ სიტუაციებში.

ყველა შეთანხმდა იმ საკითხში, რომ ჟურნალისტი ხელს არ უნდა უწყობდეს შულლის გაღვივებას. მიუხედავად ასეთი შემართებისა, მაინც დიდი დაბნეულობა გამოიწვია გაზეთ „საქართველოს“ წარმომადგენლის შეკითხვამ, თუ რატომ მოიწვიეს პერსონალურად აფხაზეთიდან არძინბას ერთგული ჟურნალისტები, ხოლო აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მხარეს უარი ეთქვა უსახსრობის მიზეზით.

პასუხები მრავალფეროვანი და არადამაჯერებელი იყო. ერთ-ერთი ვერსიით, მათ სჭირდებოდათ სოხუმელ ჟურნალისტებთან მოლაპარაკება, ხოლო მეორე მხარეს გვერდი აუარეს, რადგან კონსტრუქციული დიალოგის მაგივრად ერთმანეთს საკუთარი სიმართლის მტკიცებას დაუწყებდნენ. (თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია აზერბაიჯანელი და სომეხი ჟურნალისტების მოწვევისას). აქ ვიღაცას გაახსენდა, რომ იქ ესწრებოდა აფხაზეთიდან დევნილი ჟურნალისტი ბ-ნი პაჭკორია, რომელმაც საკმაოდ ვრცელი მოხსენება გააკეთა და, საერთოდ, კონფერენციაზე ჩასვლა შეეძლო ყველას, ვინც შესაბამის თანხას გადაიხდიდა.

ეს ვერსიები ერთგვარად გააბათილა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის თავმჯდომარემ. მან განაცხადა, რომ მართლაც არ მიუღია მოწვევა, ხოლო თავაზიანმა ორგანიზატორებმა ანკეტის შევსების შემდეგ უარით გამოისტუმრეს. ბ-ნი პაჭკორია კონფერენციას ესწრებოდა არა როგორც აფხაზეთის, არამედ როგორც საქინფორმის წარმომადგენელი.

ნინო ორჯონიკიძე

• ყრილობამდე არსებული ვნებათაღელვანი

დღევანდელმა ხელისუფლებამ, მკითხველისთვის ცნობილი პირები ორთაჭალის „დასასვენებელ სახლში“ რომ გაისტუმრა, ჩუმი და შენიღბული ბრძოლის ილეთების გამოყენება დაიწყო. ჯერი თენგიზ სიგუაზე მიდგა, რომლისთვისაც რუსთაველის საზოგადოება ერთადერთი, სამოღვაწეო ასპარეზად დარჩა. სწორედ ამ „არასასურველი კაცის“ მოსაცილებლად ხელისუფლების უმაღლესი ეშელონიდან კულტურის თვინიერ მოღვაწეებსა და ერთგულ კარისკაც-სკამისკაც-ჯარისკაცებს დავალება მიეცათ აქამდე არნახული და არგაგონილი უზნეობის ჩასადენად. იმის მაგივრად, რომ 27 აპრილს დანიშნულ რუსთაველის საზოგადოების ყრილობაზე ოპონენტები ვაუკაცურად გამოსულიყვნენ, პრეზიდენტის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა დაესახელებინათ და საკითხიც დემოკრატიულად დელეგატებს გადაეწყვიტათ, ამ ჯგუფმა უკადრისი იკადრა... იგივე სახელწოდების საზოგადოების ხელახალი დაარსება მოინდომა, შედგა ე.წ. საინიციატივო 10 კაციანი ჯგუფიც...

დაირღვა კანონით გათვალისწინებული პროცესუალობაც. აუცილებელ 50 დამფუძნებლის მაგივრად, მხოლოდ 10 ხელმოწერა ვიხილეთ. იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური უარის მიუხედავად, საინიციატივო ჯგუფმა შეკრება მაინც ჩაატარა, საზოგადოებაც დააარსა და პრეზიდენტიც აირჩია, რაც აშკარა უკანონობაა. უფრო მეტიც, ამ შეკრებაზე სიტყვაც არ თქმულა თ.სიგუას განთავისუფლების შესახებ, ხოლო საინფორმაციო პროგრამა „მაცნეში“ გამოაცხადეს, თითქოს არჩევნები ჩატარდა და ახალ პრეზიდენტად ჟურნალ ლებანიძე აირჩიეს.

პარადოქსულია ისიც, რომ ამ ჯგუფის ზოგ წევრს უშუალო კავშირი აქვს დღევანდელ რუსთაველის საზოგადოებასთან. მაგალითად, ელ.შენგელაიას „ექსპრესინფორმაცია“ და ლ.ღოლობერიძის „ალსი პეჩორაზე“ სწორედ ამ საზოგადოებამ დაფინანსა. ასევე ლ.თაბუკაშვილის ჟურნალ „XX საუკუნეს“ პრეზენტაცია 1995 წლის 17 მაისს შედგა საზოგადოების კულტურის ცენტრ „გულანშაროში“, ნ.ლომოურს საზოგადოებამ შუაკვეთა და გამოუცა ბროშურა „საქართველო — მცირე იმპერიაა?“ ეს ის პროვენებები გახლავთ, დღე და ღამ მორალით რომ გვმოძღვრავენ და ზნეობაზე დიდი პრეტენზიებიც აქვთ.

აღნიშნულ შეკრებაზე ვასათიანმა, გ.გვერდწითელმა და სხვებმაც განაცხადეს, რომ თურმე აქამდე საზოგადოება იურიდიულად არ არსებობდა. ეს მაშინ, როდესაც იგი მინისტრთა საბჭოს განკარგულებით შეიქმნა.

რუსთაველის საზოგადოების საწინააღმდეგო ქმედებანი ჯერ კიდევ 1991 წელს ზ.გამსახურდიამ დაიწყო, რომელმაც შენობა ლიტერატურის ინსტიტუტს გადასცა. 1995 წლის 12 მარტის №48/2 მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელის ვ.ასათიანის წერილში, ვიცე-სპიკერ ვ.რჩეულიშვილისადმი ნათქვამია: „იმის გამო, რომ რუსთაველის გამზირის №27 შენობა ბალანსიდან ბალანსზე გადაცემის შემდეგ წარმოადგენს რუსთაველის საზოგადოების საკუთრებას, იგი უფლებამოსილია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს შენობის პრივატიზებისა და მასში „ივერთბანკის“ განთავსების საკითხი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ პარტიებისა და საზოგადოებათვის შენობების გადაცემის კანონიერების საკითხის შესწავლა დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატას“. ასე რომ, ვ.ასათიანიც მშვენივრად იყო ინფორმირებული. მოყვანილი ციტატით იგი აღიარებს საზოგადოების კანონიერებას, დღეს კი, რაკი სხვა ქარი ქრის, მის უკანონობაზე ლაპარაკობს. რამდენად მორალურია ყოველივე ეს, მკითხველმა განსაჯოს.

დღევანდელი დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის ფონზე, ხელისუფლების ასეთი უკანონობა, არღვევს რა იურიდიულ ნორმებსა და მორალურ პრინციპებს, საზოგადოებრიობას კვლავ დრომოჭმული კომუნისტური სტერეოტიპისაკენ აბრუნებს, ვინაიდან პასუხისმგებელი მუშაკები კომუნისტური აზროვნების ტყვეობაში არიან, თანამდებობის გულისთვის ყველაფერს კადრულობენ და ქვეყანასაც ავტორიტარული რეჟიმისაკენ მიაქანებენ.

ძველი საზოგადოების ძველი თავმჯდომარე

ასეთ ფონზე, 27 აპრილს გაიხსნა რუსთაველის საზოგადოების მესამე ყრილობა, რომელსაც 250 დელეგატიდან 207 დაესწრო. დაწყებამდე ყრილობაზე მობრძანდა პოეტი ჯ.ჩარკვიანი, მაგრამ მალევე წავიდა...

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, ბატონი თენგიზ სიგუა. მან მიმოიხილა 1990 წლიდან საზოგადოების მიერ გაწეული მუშაობა და შენიშნა, რომ ყრილობა ერთი წლის წინ უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ არსებულ ვითარებათა გამო მოხდა სარეგლამენტო ვადის გადაცილება.

თ.სიგუამ აღნიშნა საზოგადოების მიერ ქვემო ქართლში 2700 სახლის შეძენა და მათი სტიქიით დაზარალებულებისთვის გადაცემა, რომლებსაც ისინი 25 წელს ვერ გაყოდიან. ამ ღონისძიებისათვის თავის დროზე შეიქმნა სპეციალური ფონდი, რომელშიც იმ დროისთვის უზარმაზარი თანხა, 60—70 მილიონი მანეთი შემოვიდა. მომხსენებელი შეეხო „ივერთბანკის“ პრობლემას, რომელიც ილია ჭავჭავაძის იდეის განხორციელების საშუალებად უნდა ქცეულიყო საადგილმამულო ბანკად ჩამოყალიბების საქმეში. სამწუხაროდ, ბანკი ჩვეულებრივ კომერციულ საქციანობას ვერ გასცდა და ამასთანავე ცდილობს შენობის მთლიანი ფართის მიტაცებასაც. ახლა

ამ საქმეს პროკურატურა იძიებს. ამიტომ ბატონმა თენგიზმა ყრილობის დელეგატებს ამ საკითხზე მსჯელობა შესთავაზა. აგრეთვე აღნიშნა საზოგადოებასთან არსებული ისტორიულ-გეოგრაფიული ასოციაციის ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში, სადაც გადაღებულ და შესწავლილ იქნა ყველა ქართული კულტურის ძეგლი, გადაღებულია 500-ზე მეტი სლაიდი და თუ ფინანსური საშუალებაც გამოიძებნა, ალბომიც გამოიცემა. აღნიშნულ იქნა საზოგადოების გამომცემლობა „სარგის“ ნაყოფიერი საქმიანობაც.

ბატონმა თენგიზმა აღნიშნა, რომ მუშავდება საქართველოს ენერგეტიკის, ტელე-საკომუნიკაციო კონცეფციები, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამა. საზოგადოებამ კარგი პირობები შეუქმნა 27 ახალგაზრდული ასოციაციის შექმნას, ხოლო თავის დროზე პირველი ეკოლოგიური ასოციაცია, მოგვიანებით მწვანეთა მოძრაობად გამოიყო. განსაკუთრებით აღინიშნა კულტურის ცენტრ „გულანშარის“ (პრეზიდენტი ნ.ფაცურია) საქმიანობა, სადაც 65 სადამო და 85 გამოფენა მოეწყო.

უახლოეს სამომავლო გეგმაში საზოგადოებას აქვს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ექსპოზიციის მოწყობა, გაზეთ „მამულის“ აღდგენა.

ბატონმა თენგიზმა განაცხადა, რომ გარკვეულ ძალებს სურდათ საზოგადოების ქონების მითვისება, რისთვისაც შეიქმნა ალტერნატიული რუსთაველის საზოგადოება. სამწუხაროდ, მათთვის კარგად იყო ცნობილი არსებული საზოგადოების საქმიანობა, რომელსაც უმოქმედო უწოდეს, ხოლო 4 აპრილს იუსტიციის სამინისტრომ, გარკვეული ზეწოლით, რეგისტრაციაში მაინც გაატარა მათი წესდება. ბატონმა თენგიზმა ყრილობას მოუწოდა, ეფიქრა ამ საკითხზე, სანამ სარჩელი სასამართლოში იქნა შეტანილი.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ის გარემოებაზე, რომ არც ერთ სხვა საზოგადოებას მსგავსი მოცულობის სამუშაო არ ჩაუტარებია, და რომ დღეს ხელისუფლებაში მოსულ ფერშეცვლილ კომუნისტებს რუსთაველის საზოგადოების დამორჩილება სურთ.

კამათში გამომსვლელებმა ალ.გუგუნავამ, ნ.ფაცურიამ, ბ.გოიშვილმა, მ.პატარაიამ, ბ.დიასამიძემ, ი.კვესელავამ, ჯ.ჯიქიამ აღნიშნეს რუსთაველის საზოგადოების მიერ გაწეული ნაყოფიერი მუშაობა, გამოთქვეს სურვილი, რომ იგი გახდეს მთელი ქართველი საზოგადოებრიობის გამაერთიანებელი ორგანო, დაიცვას ეროვნული ღირსება, ხელი შეუწყოს ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება-პროპაგანდას და ქართული კულტურის განვითარებას.

ყრილობაზე გამოითქვა უარეყოფითი აზრი თურქული უნივერსიტეტის მშენებლობის შესახებ.

ყრილობამ მიიღო მიმართვა, რომელშიც ლაპარაკია იმაზეც, რომ პროფესორი ირაკლი სურგულაძე, რომელიც საზოგადოებისთვის ნამდვილად არ არის საშიში, განთავისუფლებულ იქნას ცხრაკლიტულიდან.

რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარედ წამოყენებულ იქნა სამი კანდიდატურა: ბატონების აკაკი ბაქრაძის, გურამ გეგეშიძისა და თენგიზ სიგუასი. ბაქრაძემ და გეგეშიძემ კანდიდატურები მოხსნეს, ყრილობამ საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩია თენგიზ სიგუა (წინააღმდეგი იყო ერთი). არჩეულ იქნა გამგეობა 31 კაცის შემადგენლობით. გამგეობაში აირჩიეს ოთარ მელვინეთუხუცესი, რომელმაც გულწრფელად და შთამბეჭდავად თქვა ის, რითაც ჩვენი ინტელიგენციის ყოფის ტრაგი-კომიკურობა დაიხატა. ბატონმა ოთარმა განაცხადა: როცა პირველად გამოცხადდა რუსთაველის ყრილობის შესახებ, მივედი იქ, გელოდით თქვენ, დამხვდნენ სხვები. დავრჩი მათთან.

ახლა რომ გამოცხადდა, ველოდი მათ, დამხვდით თქვენ, ვრჩები თქვენთან. არც იმათი მაქვს რაიმე საწინააღმდეგო და არც თქვენიო და მსახიობს ცრემლი მოადგა.

ასეთმა ცრემლმა უნდა გაგვაერთიანოს. არც იმათ და არც ამათ გასაყოფი არაფერი აქვთ. მათ ყოფენ...

გუბაზ მეგრელიძე

P.S. ყრილობის დაწყებამდე ორგანიზატორებთან მივიდა მილიციონერი და განუცხადა, გამგეობის დაკალებით მოვედი, აქ ალექსი მეორე უნდა მოვიდეს და ყრილობას ვერ ჩაატარებთო. მილიციონერს აუხსნეს, რომ ეს საბავშვო-საყმაწვილო თეატრის დარბაზია და არა ხვეტიცხოველის ტაძარი, რაც მილიციონერმა გაიგო და მშვიდობიანად წავიდა იქ, საიდანაც გამოგზავნეს...

ჯოხარ დუდაევი შამილზე დიდი გმირია

ისტორიამ შემოინახა ერთი ანეკდოტური ფაქტი.

1856 წლის აგვისტოში 30 წლიანი დაუცხრომელი ბრძოლების შემდეგ, როცა მთიელთა წინააღმდეგობის უკანასკნელი აულიგუნიბიც აიღეს რუსებმა და შამილი დაატყვევეს, რუსთა ჯარის მთავარსარდალმა ბარიატინსკიმ მთიელთა ბელადს, რომელმაც წარდგენისას დამთქნარა, ირონიულად მიმართა — ფრთხილად, არ შემჭამოო.

ამაზე შამილს მშვიდად უპასუხია — ღორის ხორცს არ გეახლებითო...

* * *

შამილი, მართალია, ვაჟკაცურად ებრძოდა მტერს მთელი შეგნებული ცხოვრება და ტყვეობაშიც კი მოხუცებულობის წლები ღირსებადაუკარგავად გაატარა, მაგრამ მან, სიკვდილსა და დანებებას შორის, მაინც მეორე არჩია. იქნებ ამანაც გამოიწვია ის ფაქტი, რომ შამილის დამორჩილებასთან ერთად, რუსულ ხიშტს დანებდა ვაინახელი ხალხიც.

დუდაევის სიკვდილით კი ჩეჩნეთში ომი არ დასრულდება. დუდაევი ჩეჩენი ხალხისთვის სამუდამოდ გასაგნდება თავისუფლების იდეასთან და სისხლით შეღებილი თავისუფლება შურისძიებისაკენ მოუხმობს ყველა ჩეჩენს.

ჩეჩნეთში დუდაევის სიკვდილს შემდეგ გამორიცხულია პრომოსკოვური მთავრობის ჩეჩნებით დაკომპლექტება და ამის მაგალითი უკვე არის — ნადირობის დაწყება მოსკოვის ემისრებზე...

მოკლეს ერთი ვიცეპრემიერი, დაჭრეს მეორე და თუ მოსკოვისგან გამოგზავნილი ჩეჩენი კონფორმისტები კვლავ კრემლში გაქცევით არ უშველიან თავს, თითოეულის დღეები დათვლილია.

არცთუ მცირე დროა, რაც ჩეჩნეთი ბოროტების იმპერიას ებრძოდა დუდაევის ხელმძღვანელობით და კიდევ ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდება ამ მცირერიცხოვანი ხალხის თავგანწირვა. ეს დრო კი თანამედროვე, ცივილიზებული კაცობრიობის ისტორიას შერჩება, როგორც ჩამოურეცხავი სირცხვილი...

როგორც ამაზრზენია ის ბრბო, რომელიც დღისით — მზისით ვამპირისაგან უდანაშაულო ადამიანისათვის სისხლის გამოწოვას უყურებს და „სხვის საქმეში“ არ ერევა, ისეთივე ამაზრზენია დღევანდელი კაცობრიობის მორალი თავისი მსოფლიო გადანაწილების პრინციპებით...

კაცობრიობისა, რომელსაც ძალუძს და თითს არ ანძრევს ამ მცირერიცხოვანი და გმირი ხალხის საშველად, გამოსახსნელად ვამპირის კბილებისაგან...

საქართველოს უბედურება კი ის არის, რომ ბედმა მაინცადამაინც ამ ვამპირთან მეზობლობა მოგვისაჯა...

* * *

ღორის ხორცს არ გეახლებითო — შამილმა...

ღორი კი ყველგან ჰყოფს თავის ბინძურ დინგს!..

ნოდარ ბრიგალაშვილი

ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს მიერ დაწყებული წერილების სერიისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ადამიანთა შეხედულებები, რომლებიც ქვეყნისთვის მძიმე, თუ კრიტიკული ვითარებების უშუალო მონაწილენი იყვნენ. ამ მხრივ საინტერესოა ბატონ გივი ლომინაძის პოზიცია, რომლის პიროვნების წარდგენაც, ვფიქრობ, მკითხველს არ სჭირდება.

ბატონი გივი მოუცლელობის მიუხედავად საუბარზე სიამოვნებით დაგვთანხმდა, ოღონდაც აუცილებლად მიიჩნია იმ საერთო ვითარებათა ანალიზიც, რომლის გარეშე პიროვნებათა შეფასება ვერ წარმოუდგენია.



გივი ლომინაძე: დღეს პირველად ვამბობ, რომ...

ამიტომაც ამ შეხვედრამ აფხაზეთის პრობლემის ზოგიერთი ახალი ასპექტიც წარმოაჩინა.

როგორ დაიწყო ომი აფხაზეთში?

— აფხაზეთის პრობლემა ძნელად გადასაჭრელი და მეტად მტკივნეულია. რაც დრო გადის, ვითარება მით უფრო რთულდება. ამიტომაც საინტერესოა თქვენი აზრი, თუ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე რამ განაპირობა ომის გარდუვალობა, ვინ ან რომელი საზოგადოებრივი ძალებია დამნაშავე?

— პარლამენტსა და პრესაშიც არაერთხელ მითქვამს, რომ ომის დაწყების მიზეზები ჯერ კიდევ ბოლომდე გაცნობიერებული არა გვაქვს. ეს ომი 1992 წლის 14 აგვისტოს არ დაწყებულა. არც 1989 წლის 15-16 ივლისის შეტაკება ყოფილა საბაბი, რომლის დროსაც 16 დაიღუპა და 400-მდე ქართველი დაიჭრა. აფხაზთა მხრიდან 9 დაიღუპა და 300-მდე დაიჭრა. მართალია, იგი ინსპირებული იყო და აფხაზთა საომარი ძალების პირველი მოსინჯვა გახლდათ.

ომის დაწყების მიზეზებად ვთვლი ათწლეულების მანძილზე აფხაზეთში შექმნილ ვითარებას. ვადანაშაულებ იმ აფხაზ პოლიტიკურ მოღვაწეებს, მწერლებს, მეცნიერ-მუშაკებს, თუ მუშა — გლეხებს, რომლებიც ქართველებთან ომისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ. ათეული გვარის დასახელება შემიძლია. მათ შორის ძირითადი ბირთვი მალულ ხასიათს ატარებდა, რომელთა შორის იყვნენ: ბაგრატ შინკუბა, ივანე თარბა, გიორგი ყოლბაია, ძმები შანბები, ა.გოგუა, ა.დომინია, ს.ლაკობა, პარტიულთაგან ვ.კობახია, კაპბა, ოზგანი, ბაგაფში, ანქვაბი და სხვები.

ნურავის ჰგონია, თუ არძინბა პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოვა, ქართველთა მიმართ რაიმე შეიცვლება. შესაძლოა ვითარებამ მხოლოდ უფრო ლმობიერი ფორმები მიიღოს, ვინაიდან ქართველთა მიმართ სიძულვილის ძლიერი იდეოლოგიაა შექმნილი.

ომის დაწყების მიზეზების ძებნისას, ვიღაცისგან გვარების დასახელებას ველოდებით. ეს ომი კონკრეტულ პიროვნებებს კი არ დაუწყიათ, არამედ იგი ათწლეულების მანძილზე მზადდებოდა და იმ მომენტისთვის გარდუვალი გახდა. მე კი კითხვას სხვანაირად დავსვამდი. შეიძლებოდა თუ არა ომის თავიდან აცილება? ვფიქრობ, უფრო სწორი იქნება ამაზე ლაპარაკი, თუ აფხაზეთთან მიმართებაში

რა დონეზე იყო სახელმწიფოებრივი პოლიტიკა და მას ვინ მართავდა — კონკრეტული პიროვნებები, თუ კოლექტიური ინსტიტუტი, და რა შეცდომები იქნა, დაშვებული. თუ ასე დავსვამთ კითხვას, მას ასეთ პასუხს გავცემდი:

ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა, თუ აფხაზეთზე უარს ვიტყოდით და ქართულ მოსახლეობას იქ ჩავტოვებდით, თუ აფხაზეთის ფაქტიურ დაკარგვას დე-იურედ ვაღიარებდით, როგორც იმ მომენტისთვის იყო დაფიქსირებული.

პირველი ლტოლვილები

— საზოგადოებამ არ იცის, რომ ჯერ კიდევ 1991 წელს პირველი ქართველი ლტოლვილები თავად აფხაზეთის ტერიტორიაზე გაჩნდნენ. მაშინ ოზგანისა და „აიდგილარას“ ხელშეწყობით სოფელ აბგარხუკის დასახლებით 47 ქართული ოჯახი აიყარა, რომლებიც გულრიფში კავშირგაბმულობის სამინისტროს დასასვენებელ სახლში განთავსდნენ და ჯუჯლიდით კიდევაც. იცის თუ არა საქართველოს მოსახლეობამ, რომ გუდაუთის რაიონში მცხოვრები დახლოებით 7000 ქართველი, ყოველდღიურად განიცდიდა ფიზიკურ, მორალურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რათა მათ საცხოვრებელი ადგილები დეტოვებინათ. იგივე პროცესები მიდიოდა გაგრაში, ტყვარჩელში და ოჩამჩირეში.

ამას დავამატა ეროვნული ნიშნის მიხედვით ქართველების თანამდებობებიდან განთავისუფლება. პრაქტიკულად აღარ ფუნქციონირებდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, რომლის მაგივრადაც არძინბა ახალ პრეზიდიუმის საშუალებით იღებდა უკანონო დადგენილებებსა და სტრუქტურებსაც აყალიბებდა. ამ ფონზე, მოხდა შინაგან საქმეთა სამინისტროზე 21 ივლისის თავდასხმაც, რომლის ორგანიზებაშიც გარკვეული წვლილი თანამდებობის მქონე ქართველებსაც მიუძღვოდათ. მოვა დრო და ამაზე უფრო დასაბუთებულად ვიტყვი.

გაგრძელება მე-6 გვ.

აუცილებელი განმარტება მორიგი ცილისწამების გამო

ნოდარ ნათაძე

გაზეთში „დრო“ (1996 წ. №9(16)) დაბეჭდილია თ.ჭორიძის ინტერვიუ რომელიც, ხანდაზმული ტრადიციისამებრ, შეიცავს ცილისწამებას ჩემი მისამართით. მომყავს ციტატი (რესპონდენტის პასუხი კითხვაზე, რა იღონა ხელისუფლებამ სამოქალაქო ომის აცილებისთვის): „პრაქტიკულად გადაიდგა ყველა ნაბიჯი, რათა ომი არ დაწყებულიყო. ჯერ კიდევ 21 დეკემბერს მე ერთ თანმხლებ პირთან ერთად გადავედი „მოწინააღმდეგის ბანაკში“ და წარვუდგინე ისეთი წინადადებანი, რომლებზეც უარს მხოლოდ სისხლისღვრის მოსურნე იტყოდა. იმ ღამესვე მოვიწვევდი უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე, სადაც დავნიშნავდით პარლამენტის ახალ არჩევნებს. გამოვაცხადებდით რეფერენდუმს პრეზიდენტისადმი ნდობის საკითხზე. დავიწყებდით მოლაპარაკებას კოალიციური მთავრობის შექმნაზე, დავნიშნავდით ადგილობრივი ხელისუფლების ახალ არჩევნებს. აი, როგორი წინადადებები უარყვეს თ.სიგუამ, ნ.ნათაძემ და ერთმა ამჟამად განსვენებულმა პიროვნებამ“.

საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს მოვახსენო, რომ

1. ეს განცხადება თავის იმ ნაწილში, რომელიც მე მეხება, მტკნარი სიცრუეა. თუმცა 1991 წლის ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე (მას შემდეგ, რაც გვარდია თბილისის ზღვაზე გავიდა) მე სისტემატურად მივდი-მოვდიოდი თბილისის ზღვასა და უზენაეს საბჭოს შორის, რათა როგორმე ამეცილებინა შეიარაღებული შეტაკების საშიშროება (და ჩემთან ერთად — სხვა დეპუტატებიც როგორც „მრგვალებიდან“, ისე ოპოზიციიდან), მე არავითარი რწმუნება, უფლებამოსილება ან საშუალება ვინმეს სახელით რაიმეზე დათანხმებისა ან არდათანხმებისა არ მქონია. ჩემი ფუნქცია იყო მხოლოდ შუამავლისა და არა მხარისა. ამგვარად, მე ვერც ავტორის თ.ჭორიძის მიერ გამოთქმულ წინადებებზე ვიტყოდი „ჰოს“ ან „არას“.

2. ერთადერთი თემა, რომლის გამოც მე ამბავი მიმქონ-მომქონდა და შეთანხმების მიღწევას ვცდილობდი, იყო გვარდიის დაძვრემდებარეების საკითხი (ვის დაექვემდებარებოდა იგი: პრეზიდენტს, პარლამენტს თუ მთავრობას?). (მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ ხანდახან მასალებს ვაქვეყნებდი პრესაში). თემებზე, რომელზეც ავტორი ლაპარაკობს, მე მოლაპარაკებაც არ მქონია.

3. თბილისის ზღვაზე მე უკანასკნელად ვიყავი 17 დეკემბრამდე, როცა თბილისში დიდი მიტინგი ცხადდებოდა და მის მომავალ ორატორთა შორის ჩემდა დაუკითხავად მეც მასახელებდნენ. ამ უკანასკნელი ვიზიტის დროს, ისევე როგორც უზენაეს საბჭოში ჩემი უკანასკნელი მისვლის დროს, მე დავრწმუნდი, რომ არც ერთ მხარეს არ გააჩნდა კონფლიქტიდან გამოსვლის ის კეთილი ნება, რომელსაც ვეძებდი, და ჩემს მიერ დიდი შრომით მოპოვებული თანხმობაც — რომ გვარდია დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდებოდა და პარლამენტს დაექვემდებარებოდა — ჰაერში გამოკიდებული დარჩა. ამის შემდეგ მე აღარ გავკარებივარ აღარც თბილისის ზღვას, აღარც უზენაეს საბჭოს და აღარც მოედანს მის წინ. იმ გამოცხადებული მიტინგის დროს ვიყავი გორში („ჰელსინკი უოჩის“ წარმომადგენლებთან ერთად ცხინვალელ ლტოლვილთა საცხოვრებლებში). ამგვარად, მე არა თუ მონაწილე, არამედ დამსწრეც არ ვყოფილვარ იმ მოლაპარაკებსა, რომელიც თ.ჭორიძეს, მისი სიტყვით, თ.სიგუასთან ჰქონია 21 დეკემბერს.

მანამდე — არ მახსოვს როდის, მაგრამ 17 დეკემბერზე უფრო ადრე — მე მართლაც შევესწარი თ.ჭორიძის და თ.სიგუას დიალოგს მთავრობის სახლის წინ, რუსთაველის გამზირზე, ავტობუსში, რომელშიც ორივე მხარემ შემიპატიჟა (როგორც ჩანს, მოწმედ). ჭორიძის პოზიცია ზუსტად არ მახსოვს, რადგან იგი სერიოზულად არავის აღუქვამს (წარმომადგენლობის არასაკმარისი წონადობის გამო), მაგრამ სიგუასი კი მახსოვს, რომელიც, აგრეთვე სერიოზულად არ აღქმულა, ვინაიდან მას მხოლოდ ერთი გამოხატულება ჰქონდა — მიკროფონში ძახილი „ზვიად, შე კურდღელო, მანდ რას იმალებიო“. აი, ასეთი დონით, ფორმით და სტილით ვითარდებოდა ის მოვლენები, რომელთა შედეგიც „საერთო-სახალხო რეფერენდუმის“ და ათას სხვა გაუნათლებელთა მიერ შეთხზული სხვა ანალოგიური სახელებით ჩვენთვის კარგად ცნობილია.

ჩემს საწინააღმდეგოდ თ.ჭორიძის პროვოკატორული საქმიანობის შესახებ მაინც მინდა დამატებით შევნიშნო. ეს საქმიანობა არც ახლა დაწყებულა, არც ზ.გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს, არამედ უფრო ადრე. ეს ბატონი — უკაცრავად პასუხია, პაუზით, ტურასავით დასდევდა ზ.გამსახურდიას რამდენიმე ბოლო თვეს 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებამდე (მანამდე ისე ირჩენდა, როგორც მიტინგების ყველა სხვა რიგითი მონაწილე ან ორატორი) და შემთხვევას არ უშვებდა, რომ ზ.გამსახურდიას მხლებელთა გუნდსა და თქვენს მონა-მორჩილს შორის თუ კონფლიქტი არა, შელაპარაკება მაინც ჩამოეგდო. ჩემი შთაბეჭდილებებით, რომელიც ჩემს თვალში დამაჯერებლობას ახლა, რეტროსპექტულად უფრო იძენს, მისი ფუნქცია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მხოლოდ ის კი არ იყო, რომ თავისი, რბილად რომ ვთქვათ, არაფოტოგენური პიროვნული თვისებებით ამ მოძრაობის დისკრედიტაცია მოეხდინა, არამედ ისიც, რომ აჭა-იქ ურთიერთ გაღიზიანების თესლი ჩაეგდო. ეს პოლიტიკა ახლაც გრძელდება და იგი მით უფრო გამწვავდება, რაც უფრო რეალური გახდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ სხვადასხვა პარტიათა და პოლიტიკურ გაერთიანებათა ურთიერთდაახლოების პერსპექტივა.

მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ გაზეთს „დრო“ თავისი განცხადების მიუხედავად, რომ ავტორები თვით არიან პასუხისმგებელნი მოხსენიებულ ფაქტებზე, ამ უკანასკნელებისადმი მაინც შეტი პატივისცემა ჰმართებს.

ერთ უბედურ დღეს სამხედრო კომისარიატში ფეხი შემიცდა...

ბიჯი, რომელსაც ოფიცრობა უნდოდა

ამ ფერილის წერაში თქვენი დახმარება მჭირდება, ძვირფასო მკითხველო. არა, წერით მე დავწერ, თქვენ მხოლოდ სიტუაცია წარმოიდგინეთ და თუ დამეთანხმებით, ჩათვალეთ, რომ ჩემი თანაავტორი ხართ.

მაშ ასე, თქვენ ყოფილი სამხედრო მოსამსახურე ხართ, თადარიგის ოფიცერი, მთელი შეგნებული ცხოვრება შეიარაღებულ ძალებს რომ შეალიეთ და გყავთ ვაჟიშვილი, 21 წლის, კომერციული უმაღლესი სასწავლებლის მესამე კურსის სტუდენტი. ერთ მშვენიერ დღეს აიხირეთ, ჩემი შვილიც სამხედრო მოსამსახურე უნდა იყოსო, შვილიც დაიყოლიეთ, სწავლა მიატოვებინეთ და თბილისის სამხედრო აკადემიას მიაკითხეთ, ჩარიცხვის პირობების გასაგებად. კარგად შეგხვდნენ, პირობები გაგაცნეს, მისაღები გამოცდების პროგრამა მოგცეს და შეძლებისდაგვარი დახმარებაც აღგითქვეს, მხოლოდ, გითხრეს, რაიონული კომისარიატის შუამდგომლობა და ჯანმრთელობის ცნობაა საჭიროო.

თქვენ, შვილთან ერთად, კომისარიატში მიდიხართ, მეორე განყოფილების უფროსის კაბინეტში შედიხართ და სიხარულისა თუ განცვიფრებისაგან პირს აღებთ: უფროსის საკრძალში მაიორის ფორმაში გამოწყობილი თქვენი ნაცნობი ხის, ყოფილი კომკავშირული მუშაკი, რომელმაც მთელი ახალგაზრდობა სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდებაში გაატარა. მოკრძალებით ესალმებით და მისვლის მიზანს აცნობებთ.

რას ამბობთო, გასუხობს მაიორი, კომისიასაც გავატარებთ და რეკომენდაციასაც მივცემთო. იქვე აწერინებს თქვენს ვაჟს განცხადებას და სამხედრო კომისართან შედის „საქმის ჩასწყობად“. ბიჭს კომისიას უტარებენ, რომლის დროსაც ტანზე სრულიად უმნიშვნელო და უვნებელ ლაქას აღმოაჩენენ. ეს რა არის, ხომ არ გტკივავო, ეკითხება ექიმი. არაფერიც არ მტკივა, ჯანმრთელი და სამხედრო სამსახურისთვის სრულიად ვარგისი ვარო, პასუხობს თქვენი ვაჟი. ეს რა ჩიტი მოფრენილაო, უკვირს ექიმს, რომელსაც, ალბათ პირველად ესმის წვევამდელისაგან ასეთი პასუხი, მაგრამ კომისარიატის თანამშრომლის თვალის ფარული ჩაპჭუნება (ალბათ) სწყვეტს საქმეს.

მერე გამოდის თქვენი ნაცნობი მაიორი და გეუბნებათ, ყველაფერი კარგადაა, დასკვნა ცენტრალურმა კომისიამ უნდა დაადასტუროს (!), ბიჭი ქალაქიდან არ გავიდეს, თანაც ყოველ მესამე დღეს გამომიაროს, რომ გამოცდებზე არ დაუგვიანდესო.

დადის თქვენი შვილი ყოველ მესამე დღეს კომისარიატში, თანაც გამოცდებისთვის ემზადება და რეკომენდაცია და ცნობა არ ჩანს. ბოლოსდაბოლოს, ბოლო მესამე დღეებსაც აქვს და კომისარიატის მოთმინებასაც. ერთ მშვენიერ მესამე დღეს თქვენს შვილს, ეუნაში დაჭერილ რამდენიმე წვევამდელთან ერთად, ავტობუსში სვამენ და ქართული არმიის ერთ-ერთ შორეულ სამხედრო ნაწილში ამწესებენ ორი წლით, რიგითად.

თქვენ ხვდებით, რომ მოგატყუეს, აქეთ ეცემით, იქით ეცემით, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს ნაცნობი თანამშრომლები გეუბნებიან, ეს სად წაუყვანიათ, გაწვევამდე უნდა მოგემართა ჩვენთვის, იმ ნაწილიდან გადმოყვანაზე ფიქრიც კი ზედმეტია, თუ რაიმე „განსაკუთრებული მიზეზი“ არ გიდევს... ჯიბეშია.

ახლა ზის თქვენი ჯარისკაცი ვაჟი სამხედრო ნაწილის სამზარეულოში, კარტოფილს ფცქვნის და ფიქრობს:

— ესეც შენი ოფიცრობა. რატომ მოხდა ასე? ვინ მომატყუა, მამამ თუ კომისარიატმა?

წარმოიდგინეთ, ძვირფასო მკითხველო, ქართველი ჯარისკაცის ფიქრი და ურვა? მეთანხმებით? მაშინ თქვენ ჩემი თანაავტორი ხართ და თუ ეს წერილი ვინმეს თვალში არ მოუვიდა, პასუხს ერთად ვაგებთ.

ჩემდათავად დავამატებ მხოლოდ, რომ წერილში ქ.თბილისის ვაკის რაიონის სამხედრო კომისარიატზეა საუბარი, განყოფილების უფროსი მაიორი გია კიკნაძეა, ხოლო ჯარისკაცის მამა მე ვარ.

ილია ბარამიძე

«გარგისართ, ხომ შევარდნაძისტებო, და ავტომატის ჯერი მოუშვა»...

დევნილის დღიური

16 სექტემბერი

შემოდგომის მშვენიერი დღეა. მეზობლები როგორც კი გათენდა, კარს მოადგნენ, შეშა უნდა მოვიტანო და მეხმარებიან. შეშას კი რამდენიმე დღე ვაშზადებდი ნავახით, საწვავი სადაა, რომ მოტოხერხით დამეშზადებინა. ძლივს ვიშოვე 15 ლ. დიზელის საწვავი მანქანისათვის. როგორც იქნა, მანქანა დავტვირთეთ და სოფელში შემოვედით. ცენტრში უამრავი ხალხი დგას. გავაჩერეთ მანქანა და ვიკითხეთ თუ რა მოხდა. გვეუბნებიან, აფხაზებმა ხელშეკრულება დაარღვიეს და შეტევა დაიწყეს. ტექნიკა კი ფრონტზე არაა, ზოგიერთი სამხედრო ნაწილი სულაც განიარაღებულია. შეშა სასწრაფოდ გადმოვტვირთეთ, მეუღლემ სადილზე მიგვიპატიჟა. დავსხედით, მაგრამ ყელში ლუკმა ვერ გადავიტანეთ და სწრაფადვე ავდექით. მანქანა ბიჭებს სჭირდებათ და უნდა წავიდეთ. ცენტრში კი ბიჭებს უკვე ორი ტანკი და ერთი ქვეითთა საბრძოლო მანქანა გამოეყვანათ, ერთი კი ვერ აუშუშავებიათ. ტექნიკა ხომ ძველია და არასაიმედო. ეს ტექნიკა მე-3 ბატალიონის შტაბის უფროსის, ჩვენი სოფლელის თემურ შენგელიას ინიციატივით სოფელში გვყავდა გადამალული. ორი ტანკით თ. შენგელია წაიდა ფრონტის ხაზზე. დარჩენილი ერთი მანქანით კი საღამოსათვის უკვე ავამუშავეთ მეორე და ისინიც გუმისთისაკენ გავმართნენ. იმედია, რომ სხვებანაც ექნებათ გადამალული ტექნიკა.

17 სექტემბერი

გავიგეთ, რომ ოჩამჩირის რაიონის ქართულ სოფლები ცაგერა და ახალდაბა სეპარატისტებმა დაიკავეს. დახვრეტილია ასობით ადამიანი. ახალდაბაში 200-მდე ქალი და ბავშვი სტადიონზე ჰყავთ მძევლებად. უმედურება კი ისაა, რომ ეს სოფლები ცენტრალურ გზაზე არიან. ე.ი. გზა, რომლითაც ტექნიკა უნდა შემოიყვანონ, გადაკეტილია.

18 სექტემბერი

პირის საცხობიდან, რომელიც ელექტროგენერატორით მუშაობს, სინოლე გადმოვიყვანეთ და ტელევიზორს უსმენს მთელი სოფელი. არავითარი გამამხნევებელი ცნობები არაა. ჩვენი, მე-7 ბატალიონის მნიშვნელოვანი ნაწილი კი ცხინვალის ნაპირზე „შინაურ“ ფრონტზეა. ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა იქ რამდენიმე „პატრიოტი“. სოფ. განახლებაში გადამალული ტანკიც არაა თურმე ადგილზე, ამბობენ ლოთი ქობალიას ჩაუყვანესო.

მოვიდა ცნობა, რომ ჩემი უახლოესი მეზობლის ვაჟი, ნუკრი კალანდია, რომელიც მე-6 ბატალიონის ჯარისკაცია, მძიმედაა დაჭრილი და აეროპორტშია. თვითმფრინავით უნდათ ევაკუირება. მე და მისი მამა ცალადვერ კალანდია აეროპორტისაკენ გავეშურეთ. აეროპორტში სრული ქაოსია, აითასობით ადამიანი ცდილობს მოხვდეს თვითმფრინავში, უმეტესობა უშედეგოდ. დაჭრილებიც კი ძლივს შეჰყავთ. ნუკრი უკვე გაუმზავრებიათ და უკანვე ებრუნდებით. სოფელში უკვე დაიწყეს ლტოლვილებმა დენა, მაგრამ იმედი აქვთ, რომ მალე ჩვენები შეაჩერებენ აფხაზებს და უკანვე დაბრუნდებიან. ლტოლვილებს ოჯახები იყარებენ, მეც მივიღე 6 ადამიანი.

19 სექტემბერი

ლტოლვილთა ნაკადი იზრდება. საბჭოს თავმჯდომარემ შაქრო ლაშხიამ მოხოვა გაეწიო ორგანიზაცია მათ მიღებას და დაბინავებას. 20 სექტემბერს სკოლაში მეცადინეობა უნდა დაგვეწყო, მაგრამ ამაზე უკვე ლაპარაკიც ზედმეტია. დღეს 400-მდე ადამიანი მივიღეთ, აღვრიცხეთ და სკოლაში დავაბინავეთ. სოფელში პროდუქტებს ვაგროვებთ, მაგრამ მთავარი, პური არაა. თვით მოსახლეობასაც პურის მარაგი პრაქტიკულად არ გააჩნია. მივაკითხე პურის საცხობს, ვთხოვე ბავშვებისათვის მაინც მოეცათ პური. მომცეს რამდენიმე ცალი პური, მეტის მოცემა არც შეუძლიათ, პური ხომ ფრონტს მიეწოდება.

20 სექტემბერი

ჩვენს ბატალიონს თითქოს ჩვენივე სოფლების წებელდისა და მერხეულის დაცვა დავალათ. ბატალიონი ხომ ამ სოფლების მცხოვრებთაგანაა დაკომპლექტებული.

ლტოლვილთა ნაკადი კი იზრდება, უკვე მთლიანად გაიჭედა №1 საშუალო სკოლა. ვასახლებთ მეორე სოფლურ საშუალო სკოლაში და მოსახლეობაში. აღწერასაც ძლივს ავუდივართ. სულ უფრო ჭირს პროდუქტების შოვნა.

ერთი მამაკაცი საწოლებს მოითხოვს ჯიუტად. ვეუბნები, რომ ეს სკოლაა და საიდან გვექნება საწოლები. მაშინ საავადმყოფოდან მომეციით. საავადმყოფოში კი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ვასახლებთ. მაგალითად, ერთი ფეხმძიმე ქალი ჩავასახლეთ, მშობიარობას ელოდება ამ დღეებში ან კიდევ 2-3 დღის ბავშვი ჰყავს ზოგს.

21 სექტემბერი

თითქმის არ მძინავს. ან კი სად დავიძინებ, ჩემს სახლში ტევა არაა. ჩემს საწოლზეც სხვა წევს. მდგომარეობა უფრო მძიმე ხდება. ფრენა აეროპორტში შეწყდა. ჩამოაგდეს რამდენიმე სამგზავრო თვითმფრინავი. აეროპორტი იბომბება ხღეიდან. აფხაზებს კი სამხედრო ფლოტი არ გააჩნიათ. სრულიად გასაგებია, რომ ეს რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტია. თუმცა რა გასაკვირი. თუ რუსეთის საინფორმაციო საშუალებებს დაკუკერებთ, აფხაზებს აეროპორტის გარეშე თურმე სამხედრო-საჰაერო ძალები ჰყავთ! გუდაუთაში ერთი აეროპორტია და იქაც რუსეთის საჰაერო პოლკია დისლოცირებული.

22 სექტემბერი

ლტოლვილთა ნაკადი ისე გაიზარდა, რომ უკვე აღრიცხვასაც ვერ ვასწრებთ. ნაწილი ლტოლვილების პირდაპირ უღელტეხილისაკენ მიეშურება.

დღეს ჩემი მეზობელ თ. შენგელიაც სახლში მოიყვანეს ფეხში მსუბუქად დაჭრილი.

სოფელში უკვე 4000-მდე ლტოლვილია. ფქვილი არაა. სამინდის ყანები თითქმის დაწოვდა. შერჩევით ტარობის მოტეხა დაიწყო ხალხმა. ზოგმა მონახა ერთ დროს გადაგდებული ხელის წისქვილები, ფქვავს და ეს წარმოადგენს უმეტესობის საზრდოს. ლტოლვილებიც შეესია მოსახლეობის ყანებს. მოვარდა ერთი მეზობლის ქალი და მეუბნება, რომ „ჩემმა“ ლტოლვილებმა ყანა გაუნადგურეს, რით გავიტანო თავი ზამთარშიო.

22 სექტემბერი

ლტოლვილთა ნაკადი იმდენად გაიზარდა, რომ უკვე უაზრობაა აღრიცხვა. უმეტესობა არ ჩერდება სოფელში და მიემართება უღელტეხილისკენ. ან კი რა აზრი აქვს დარჩენას, სოფელი მეტს ვერც დაიტევს. ნაწილი დაბინავებულებისაც კი მიდის და მის ადგილს სხვა იკავებს. დროებდთ, ერთი ღამით დასასვენებლად. ამბობენ, რომ მოვიდა ბრძანება, რათა ჩვენი ბატალიონი გუმისთაზე, თუ სოფელ შრომის მიმართებით ფრონტზე გავიდეს. ბრძანება არ სრულდება. ბატალიონის ხელმძღვანელობა აშკარად „ზეადამიანურადაა“ განწყობილი, ხალხს ტყეულად ვერ ჩავხოცავთო, ამბობენ.

23 სექტემბერი

არავითარი უკეთესობა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თითქოს ყარაყარაშვილი 10 ტანკით და 200-მდე მებრძოლით კოდორზე გადმოვიდა და სოხუმშია უკვე.

გზა გაჭედილია მანქანებით და ტრაქტორებით. უკვე აითასობით ადამიანი მიემართება სვანეთისაკენ. სოფელში ქაოსია. გატეხეს აფთიაქი, ალბათ, ნარკოტიკებს ეძებდნენ. ხალხს პირდაპირ ქუჩებში სძინავთ. ღამის გასათევი ადგილი არსადაა. ჯერ კიდევ ვცდილობთ წესრიგის დაცვას, მაგრამ უშედეგოდ.

24 სექტემბერი

მოვიდა ცნობა, რომ სოხუმის ფუნიკულიორი უკვე სეპარატისტთა ხელშია. აღებულია მტრის მიერ

სოხუმის რაიონის ყველა სოფელი. ფაქტიურად სოხუმი ალყაშია. მასიურად დაიძრა ხალხი უღელტეხილისაკენ.

ჩემი მეზობელი თ.შენგელია ისევ ფრონტზეა. მხოლოდ ორი დღე იყო სახლში. დღეს მისი ძმა სოსო მოვიდა რამდენიმე წუთით სახლში და მითხრა, ბატალიონებს მოსდით ბრძანებები, რომ მოიხსნან ფრონტიდან, ხოლო თუ სად დაიკავონ საბრძოლო პოზიცია, მერე ეტყვიანო. ზოგი ასრულებს ბრძანებებს, ზოგი არა. მაგ. მე-6 ბატალიონი, მიუხედავად ბრძანებისა, ადგილზეა. მე-3 ბატალიონი, რომელიც გუმისთის დიდი ხიდის მიდამოებში იდგა, ბრძანებით მოიხსნა ადგილიდან, როცა გაიგეს ბრძანების უკანონობა უკანვე გაეშურნენ, მაგრამ მათი პოზიცია უკვე აფხაზების მიერ აღმოჩნდა დაკავებული, ამიტომ სოხუმის უნივერსამის მიდამოებში დაიკავეს ახალი პოზიცია.

25 სექტემბერი

მდგომარეობა კრიტიკულია. ჯარის ნაწილები სოფლის გავლით ტოვებენ აფხაზეთს და ქაოტურად გარბიან. სოფელში რომელიღაც კომერსანტებმა მოიტანეს 2ტ. თაფლი, 1 ტონა ხილეფაფა და თევზის კონსერვები. ყოველივე ამას უფასოდ ურიგებენ ლტოლვილებს. ერთმა ღამით თურმე 2 ტონა ბენზინი დაარიგა. სამწუხაროდ, მე ვერ მიკუსწარი.

მოძრაობა გზაზე უმართავია, გაჭედილი ავტომანქანებით, ფორნებით თუ სხვა სატრანსპორტო საშუალებებით. ვისაც როგორ შეუძლია, ისე მიდის. ერთმანეთს შეძლებისდაგვარად ეხმარებიან.

26 სექტემბერი

მოვნახე მცირე დრო და ყანაში ვიყავი. ლობიო უკვე ასაღებია, სამინდიც თითქმის მზოვია. დრო მოსავლის აღება დაიწყოს ხალხმა, მაგრამ ვის აქვს ამის დრო ან ხალისი. სოფლის მოსახლეობა ჯერ არ ფიქრობს წასვლაზე. კიდევ დარჩა იმედის ნაპერწკალი. იმედი ხომ სულ ბოლოს კვდება.

27 სექტემბერი

ამინდი კვლავ მშვენიერია. ღამე უმთვარო, მაგრამ ვარსკვლავებით გაჭედილი. პირველად 16 სექტემბრის შემდეგ ვარ ღამით სახლში. დღეს მაინც დავიძინებ ადამიანურად ლოგინში. აივანზე ვარ და სოხუმის მიმართულებით ვუყურებ ცას. რაღაც არ ისმის არტილერიის ხალჰების ხმა. თითქოს ომი არც იყოს ამ მშვენიერ კუთხეში. უცებ უწვეულო გრუგუნი მოისმა სოხუმის მხრიდან და ცა განათდა. ეს ფეიერვერკს ჰგავს. მეგონა რუსეთის ბომბდამშენებმა მანათობელი ბომბები ჩამოჰკიდეს, რათა ქალაქი დაბომბონ, როგორც არაერთხელ ყოფილა. დაბომბვის ხმა კი არ ისმის. ეს ფეიერვერკი დიდხანს გაგრძელდა, შემდეგ კი კვლავ სიჩუმემ დაისადგურა. ჩავედი სოფლის ცენტრში, რომ რამე გამეგო. არავინ არაფერი იცის. ტელე და რადიო გადაცემები ხომ შეწყდა ფუნიკულიორის დაკავების შემდეგ. სატელეფონო კავშირი კი დიდი ხანია არ მუშაობს უშუქობის გამო.

28 სექტემბერი

სოხუმი დაცემულია. ხალხში პანიკაა. ზოგიერთი ცდილობს სამხედრო ნაწილების შეჩერებას და წინააღმდეგობის გაწევას მტრისათვის, მაგრამ ჯარი არავის ემორჩილება. არცერთი ასე თუ ისე დიდი თანამდებობის პირი არ ცდილობს ხალხის შეჩერებას. გარშიან რაიონის ხელმძღვანელები, თუ აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკის მინისტრები. ხალხი მათ ხედავს და ეს იწვევს დიდ აღშფოთებას. ხალხის ამ საბრალოლიანი აღშფოთების მსხვერპლი კინაღამ შეიქნა პარლამენტარი ნ.ნათაძე. ეს ერთადერთი თანამდებობის პირია, რომელიც შეჩერდა სოფელში იმ მიზნით, რომ წინააღმდეგობის ორგანიზება მოესდინა, შეეჩერებინათ უკანდახეული სამხედრო ნაწილები და მოსახლეობის გახიზნა მაინც მოესწროთ. ბევრმა მხარი დაუჭირა, მაგრამ სასოწარკვეთილმა ლტოლვილებმა სცადეს მასზე ეყვირათ ჯავრი, რადგანაც ის გახლდათ ერთ-ერთი ოფიციალური პირი, ვისთანაც მიეცათ საშუალება უშუალო კონტაქტისა. ჩვენი სოფლის ბიჭები, განც სხვა ლტოლვილებში იმოძიებდა, [illegible]ელში მოვიდნენ. მე-6 ბატალიონ თურმე უკანასკნელი მოიხსნა პოზიციიდან, საიდანაც ერთი ნაბიჯითაც კი არ დაუხევიათ 10 დღის განმავლობაში. ამ ბატალიონის ბაზაზე თ.შენგელია და კიდევ ზოგიერთი არამაღალი ჩინოსანი ცდილობენ ერთიანი რაზმის ჩამოყალიბებას. უკვე შეკრებილია 10-მდე ერთეული ტექნიკა და 200-მდე მებრძოლი. მამაკაცებმა გადაწყვიტეთ ოჯახების გახიზნვა აფხაზეთის სვანეთში და ისევ შეკრება ამ რაზმის ბაზაზე. ვფიქრობთ, რომ ზოგიერთი სამხედრო ნაწილი მაინც მდკელასურზე შეჩერდება. ეს კი დროს მოგებებინებს მომზადებისათვის.

დღეს სოფელი დატოვა მცხოვრებთა ნახევარზე მეტმა. ჯერ კიდევ გუშინ წავიდა გულრიფშის და მერხეულის მოსახლეობა. სახლში გადაწყვიტეთ, რომ გავდივართ ხვალ დილით. ვეძებ საწვავს, ვიშოვე 3 ლ. ბენზინი, 2 ლ. საავიაციო ნავთი და 1 ლ. აცეტონი, ამბობენ ესეც ივარგებსო. ჩავასხი ჩემს მანქანაში და მოვამზადე სამგზავროდ. ვიცი უღელტეხილზე ამით ვერ გადავალ. იქ თურმე მხოლოდ 2 და 3 ხიდიანი მანქანები მოძრაობენ, ისიც გაჭირვებით. არც საწვავი მეყოფა, მანქანით კიდევაც რომ შეიძლებოდეს გადასვლა. მამაჩემმა, 77 წლის მოხუცმა კაცმა კატეგორიული უარი განაცხადა წასვლაზე, ჩემი სახლიდან არსად არ წავალო. ვიცი ძნელი იქნება მისი წასვლაზე დათანხმება. რასაც იტყვის, შეასრულებს. გამოვლილი აქვს ფინეთის და მეორე მსოფლიო ომი. მე მაგათი არ მეშინია, თქვენ კი წადითო, მითხრა.

29 სექტემბერი

დღეს უკვე უნდა დავტოვო მშობლიური სახლი, უფრო სწორად მეუღლემ და შვილებმა, მე კი დაბრუნებას ვაპირებ ხვალ. ოჯახს სიმაშრთან მივიყვან სოფელ ჩხალთაში, კოდორის ხეობის ზემო ნაწილში ე.წ. აფხაზეთის სვანეთში. წუხელ არ გეძინებია. მეუღლე ტირის და ისე აგროვებს ბარგს. მეკითხება, რა წავიღოთო. მართლაც რა უნდა წავიღოთ ზაპოროჟეცით. გადაწყვიტეთ, პირველ რიგში ქეთოს, ირაკლისა და გიორგის ტანსაცმელი, მეუღლის ტანსაცმელი, თეთრეული და მცირე საკვები. ყველაფერი ეს ჩავაწყეთ მანქანაში. ბავშვები არ მეშვებიან, ახლად ნაყიდი ფერადი ტელევიზორი არ დავტოვოთო. მოვხსენი რომელიღაც მანქანას (ჩემი ეზო სავსეა, მიტოვებული მანქანებით) სახურავზედა საბარგული და ჩემს მანქანას დავადგი. ტელევიზორი საბანში გავხვიეთ და მაღლა დავამაგრეთ.

შეებრუნდი სახლში. ვეხვეწები მამას, რომ წამოვიდეს, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. თვალებიდან მეც ცრემლები მომდის, მაგრამ თვალს ვარიდებ მეუღლეს და შვილებს, რომ არ შემამჩნიონ.

მანქანა არ ამუშავდა. ან კიდევ რა აამუშავებდა იმ „საწვავს“, რომელიც ავზში ჩავასხი. ხელით გამოვაგორეთ ქუჩაში იმ იმედით, რომ დაღმართში ამუშავდებოდა.

ამ დროს კარის მეზობლის შვილი გადმოგვადგა ზემოდან და შეჰყვირა: გარბიხართ ხომ შევარდნაძისტებოო, და ავტომატის ჯერი მოუშვა ჩვენზე. ბედათ აგვაცდინა, შეიძლება არც უნდოდა პირდაპირ სროლა. მამამისი და დედამისი შემოეხვივნენ, მეტი სროლის საშუალება არ მისცეს. მას კი არაქართველი მეზობლის მიერ მიბარებული მანქანა ტრაქტორის მისამბელზე შეუდევს ჯერ კიდევ გუშინ და წასასვლელად გამზადებულია. იარაღი ხელთ არ მქონდა, რომ მქონოდა, ალბათ, არც ვესროდი. ორი შვილის მამა იყო. მეორე შვილი 5 დღის წინ შეეძინათ. სახლში არავინ იყო იმათგან და მისი მეუღლე ჩემი მანქანით მე წავიყვანე სამშობიაროში. 5 ლ. ბენზინიც მე ვიშოვე (5 ლ. მქონდა), დღეს როგორ გამომადგებოდა, მაგრამ არ ვნანობ.

გაგრძელება იქნება

ბრიგოლ კუხალაშვილი

გოგია უიშვილის გაჭირვება დღეისათვის ბევრს დალხინებად შეიძლება მოეჩვენოს, ისეთ დღეშია ხალხი. ამ კორესპონდენციაში ბორჯომელი მოქალაქე ცდილობს ნაწილობრივ მაინც აღწეროს ის დუხჭირი ყოფა, რომელსაც ბორჯომის ვაგზალზე იხილავს ნებისმიერი გამვლელი.

იხილავს იმასაც, თუ წესრიგის დამცველთა გულქვაობით კიდევ რა დამატებითი პრობლემები ექმნებათ ლუკმა-პურის საშოვნელად, ორიოდ გროშის მოსაპოვებლად ჩამოსულ უბრალო ადამიანებს.

მათ ყოფას ხელოვნური პრობლემებით დამძიმება აღარ ესაჭიროება, დედაქალაქის პოლიციის შეფს ბატონ დემურ მიქაძეს ვთხოვთ გულთან ახლოს მიიტანოს იმ ადამიანთა სატკივარი.

ჩვენც ადამიანები ვართ!..

25 მარტია. ბორჯომში თოვს. ჩარხისწყლის სადგურის ბაქანზე, თბილისში მიმავალი მატარებლის მოსვლამდე, ჯერ კიდევ დიდი დრო იყო, როცა სიცივისაგან მობუზული მგზავრები ორმა უცხო მამაკაცმა გააფრთხილა: „ბორჯომი“-ს წყალი და ცეცხლში დასაწვავი შეშა მატარებელში არ შეიტანოთ, თორემ ახალდაბის გაჩერებაზე ერთიანად ჩამოგართმევთო. ეკოლოგიის პოლიციის სამსახურიდან ვართო, დასძინეს და იქაურობას გაეცალნენ.

მინებჩამსხვრეულ ვაგონში მოკალათებულს ახალდაბაში მისვლამდე ისე მეკუმშებოდა გული, როგორც თურქეთიდან საქართველოში მომავალს დამმართნია სარფის საბაჟოს მოახლოებისას.

ახალდაბაში ვერ მოგვისწრეს ეკოლოგებმა. მატარებელი დაიძრა და სიხარულისაგან 5 წლის სიცოცხლე მაინც მომემატა.

ღამით თერთმეტ საათზე თბილისს მივაღწიეთ. ბაქანზე უკუნი ღამე იყო.

ვაგონიდან ვაი-ვაგლახით გადმოსულმა, მგზავრობისას დაამხანაგებულ ანზორ გოგოლაძეს თავისი ორბორბლიანი ურიკა „შევუკაზმე“ და მის უკან დაბრუნებას დავალოდე. იქვე მდგომ ტაძრისელ უჩა შაყულაშვილს ერთი ღერი სიგარეტი გამოვართვი და ფანარანთებული სამი პოლიციელიც შემოჯირითდა ბაქანზე.

ჩემს მახლობლად, დაჩებილი შეშით გატენილ ტომრებზე მჯდომ ორ მანდილოსანს გამოეცხადნენ.

— ვისია მეშოკები? — იკითხა ფანრიანმა პოლიციელმა.

— ჩვენია — იყო პასუხი.

— საბუთები! — გასცა განკარგულება ისევ ფანრიანმა.

— ვისი საბუთები? — იკითხა ისევ იმ პირველმა ქალბატონმა.

— შეშის საბუთები, ქალბატონო, შეშა რომ ნამდვილად თქვენია, აი იმის საბუთები გვაჩვენეთ.

მგზავრებმა მხრები აიჩეჩეს და ერთმანეთს გაოცებულნი მიაჩერდნენ.

— ჩვენ ეკოლოგიის პოლიციიდან ვართ, უბრალო ხალხი არ გეგონოთ. ბორჯომში ხომ გააჩანაგეთ ტყე, ახლა აქ ქალაქი დაანგვიანეთ, ხომ ხედავთ, როგორი ანტისანიტარიაა გარშემო. ჩვენც გვაქვს, ქალბატონებო, ნერვები და ჩვენც გვყავს ოჯახის წევრები, მაშ?!

შეშაზე მჯდომი მგზავრები გაშეშდნენ. ხმას ვეღარ იღებენ, სულ დაიკარგნენ სიბნელეში ის საცოდავები.

შევძელი, ახლოს მივსულიყავი „მსხვერპლთან“ და რას ვხედავ, ქალები ისე ჩასჯიდებოდნენ ხელებით ტომრებს, გეგონებოდათ ბაკურიანის 90 მეტრიანი ტრამპლინიდან აპირებენ გადმოხტომასო.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა...

— ეხლა მე თქვენ ოფიციალურად გამოგიწერთ ორასლარიან ჯარიმას — აბობოქრდა პოლიციელი.

— რისთვის ჯარიმა? — მშვიდად შევეპარე სიტყვა პოლიციელს.

პოლიციელმა მოელვარე ფანარი თვალებში დამიმიზნა და მკითხა: — შეშა შენია?

— არა — ვუპასუხე მე.

— მერე, რას გაჩერებულხარ აქ? მოშორდი აქაურობას! — რა გაეწყობოდა „ძალა აღმართს ხნავს“ — გავეცალე.

ფანრიანმა პოლიციელმა ახლოს მოიხმო უმცროსი კოლეგა, საჩვენებელი თითი ყირყინტოზე მიაბჯინა და ყურში ჩასძახა: „თავისი ხარჯით დაიქირაონ მტვირთავები, შეშა გადაატანინე, განყოფილების წინ და ჩემს მოსვლამდე ფეხი არ მოიცვალონ იქედან!

— ქართველი თუ ხარ, შვილო? — ჰკითხა შაოსანმა და ტუჩებზე ცხვირსახოცი მიიფარა, ეტყობა კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ არ ჩათვალა საჭიროდ.

— ბავშვებს... ფეხსაცმელი და რვეულები არა აქვთ... იქნებ ორი კაპიკი შევაგროვოთ — ძლივს ამოილუღლუღა მეორე მანდილოსანმა.

— ასეთმა ლამაზებმა და ვაჟკაცებმა, როგორ მოიყარეთ ასე ერთიანად თავი პოლიციაში? — მისუსტებული ხმით იკითხა პირველმა შაოსანმა.

— რა ვქნათ ქალბატონო, გადასახდელია... ჩვენ მხოლოდ ბრძანებას ვასრულებთ, რაც არ შეიძლება, არ შეიძლება, თქვენს ქალაქში გამონახეთ რაიმე ხელსაქმე, ხომ ხედავთ, ვერ იტევს ამდენ ხალხს თბილისი.

— სხვა გზა არა გვაქვს შვილო, ქარხნები ვერ აამუშავეს ბორჯომში, გვპირდებიან, პირველი აპრილიდან ავმუშავდებითო, ვგონებ ისევ გვატყუებენ... გახსოვთ, პრეზიდენტად რომ კაცი ავირჩიეთ, ნოემბერში რა თქვა?: — „ზამთარში იგრძნობს ხალხი სიკეთესო“ — გავიდა შვილებო, ზამთარი, აგერ, გაზაფხულიც დადგა, მაგრამ ყოველი დღე ერთიმეორეზე უარესი გვითენდება და, ბარემ დაგვმარხონ ცოცხლად...

— აბა, აბა! ეგეთები არ იყოს, დედიჯან — შეაწყვეტინა სათქმელი არაქართული აქცენტით იმ პოლიციელმა, რომელმაც ერთი წუთის წინ საგანგებო დავალება მიიღო.

— მეორედ, როცა ჩამოვალთ, სახრჩობელები დაგვახვიდრეთ — ინატრა შაოსანმა ქალბატონმა.

— კიდევ კარგი, ქვეყნის საფფვრებს არ ეკაენ — თქვა [illegible]

— შეჰკერეთ, [illegible] ეტყობა ფანრიანი პოლიციელის გალაჯულ ფეხებში შავი ვირთხა შეამჩნია.

როგორც იქნა, ანზორ გოგოლაძე მოვიდა, ურიკაზე ჩემი ბარგი დავუდეთ, იქაურობა მივატოვეთ და ახლა ვიგრძენი, რომ თბილისში ზომაზე მეტი ქარი ქროდა.

ბორჯომის ვაგზლის გვირაბში შევაგროვეთ ჩვენი ურიკა. შუა გზაზე, იქ, სადაც ხაჭაპურებს აცხობენ, ძველებური მოდის „მოსკვიჩი“ გაჩხერილიყო (სახ. №228).

სამ ავტომატიან პოლიციელს ტაძრისელი უჩა შაყულაშვილი გამოეჭირათ და ედავებოდნენ, პასპორტში შვილიშვილები რატომ არ გიწერიაო.

ერთ-ერთ პოლიციელს, საჭესთან რომ უნდა მჯდარიყო, ზამბარასავით ეკეცებოდა მუხლები სიმთვრალისაგან.

გვირაბიდან გამოვაღწიეთ, პირველსავე კოცონთან ადიალებით შეფუთულ მანდილოსნებში შევერიეთ. პატარა ბიჭს, კორტანეთელ ლექსო კიკაძეს, ხუთიოდე ნაჭერი შეშა გამოვართვი და კოცონს შევუკეთე. ძველი რევოლუციონერივით ღამის გათენება აქვე გადავწყვიტე, თავი სამშვიდობოს ვიგულე.

გვირაბში შეზარხოშებული პოლიციელების ღრიანცელი და უაბლოესი ჭუჭიდან მაწანწალა ძაღლების ყმუილი არღვევდა ღამის სიჩუმეს.

26 მარტის დილა თენდებოდა.

მ.მტკვრისპირელი

ფრანგული პრესის ფურცლებზე

რუსული პრესა ჩვენში დიდ პატივშია, ევროპის ქვეყნების გამოცემებს კი ნაკლები ყურადღება ექცევა, რისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გახლავთ ამ ქვეყნებიდან საქართველოში პრესის შემოტანის თითქმის შეუძლებლობა.

ამ ხარვეზის ნაწილობრივ შესავსებად, ფრანგული ენის შესანიშნავი სპეციალისტი მეცნიერი და მწერალი, ბატონი გიორგი ეკიზაშვილი ჩვენი გაზეთიდან ყოველკვირეულად შემოგთავაზებთ ფრანგული პრესის მნიშვნელოვან მასალებს.

წამებული სოფლის მაცხოვრებელნი:
«ყველას ვერ ამოხოცავენ»

სამაშკი (ჩეჩნეთი)

„ალაჰი ჩვენთანაა. რუსები ყველას ვერ ამოხოცავენ. კიდევ ცოტა ხანს გავძლებთ... უფრო დიდ ხანს, ვიდრე მათ ჰგონიათ“. ზალუბა, გარშემორტყმული თავისი რძლებითა და პაპით, სახლის სახურავის შეკეთებას ცდილობს და ჯიუტად ებრძვის მოძალებულ ცრემლს. რუსეთის ჯარების შემოტევიდან ორი დღე გავიდა და დაცარიელებულ სოფელს ისევ დაუბრუნდნენ მაცხოვრებლები. ჰორიც კი დაირხა „სოფელი აღარ არსებობსო“.

ერთი წლის მანძილზე, რუსმა სტრატეგებმა ორგზის დალაშქრეს ეს სოფელი, რათა ჭკუა ესწავლებინათ ყველა ურჩი დასახლებისათვის. სოფელი ყუმბარებით თითქმის მიწასთან გაასწორეს; მაგრამ მაცხოვრებლები სახლ-კარს უბრუნდებიან, რათა საკუთარი მკვდრები მიწას მიაბარონ, რუს მარადიორებს გადარჩენილი ერთი ხელი ტანსაცმელი მაინც იპოვონ და რაც, მთავარია, წინ აღუდგნენ უბედურებას, რომელიც რუსებმა მოუტანეს მათ. 1944 წელს, ჩეჩნების ყაზახეთში გასახლებისას ზალუბა ოთხი წლის იყო. გასახლებულთა ნახევარი უკან ვეღარ დაბრუნდა. 36 წლისა იყო, როცა ქმართან ერთად ეს სახლი ააშენა, ახლა კი 56 წლის ქალი გადამწვარი სახლის ჩონჩხს მისჩერებია.

თერთმეტი დღის დაბომბვას ვერცერთი სახლი ვერ გადაურჩა. ბევრი სახლი დაცარიელებულია, საცხოვრებლად უვარგისია. ბევრი ძირფესვიანად დაინგრა. ქუჩებში ცხოველთა გვამებია, ხორა-ხორად ყრია ჩამოცვენილი სატელეფონო მავთულები და ათასობით ნამსხვრევი. „ომი დამთავრდება და საცხოვრებლად აქ ჩამოვალ“ — ფიცს დებს ზალუბა. ახლა კი სიამაყით გვიჩვენებს სახლის ფარდულს და ხელით ეფერება მის მკვრივ კედლებს. „მე არ მესმოდა, რატომ მოიკლა ჩემმა ქმარმა თავი ამ სარდაფის აშენებაზე. უბრალო ახირება მეგონა. ვფიქრობდი გერმანელებთან ან ამერიკელებთან ვაპირებდით ომს. ამ ჩემს ქმარს კი რუსების უფრო ეშინოდა. როგორც ჩანს, სწორიც იყო“. სწორედ ამ სარდაფს შეაფარეს თავი ზალუბამ და მისმა მეზობლებმა, როდესაც რუსული ტანკები პირველად შემოვიდნენ სოფელში, 1995 წლის 7 აპრილს. ეს იყო ამ ხანგრძლივი კონფლიქტის ყველაზე უფრო გულცივი ხოცვა-ჟლეტა. 3 დღის განმავლობაში რუსული ნაწილები კლავდნენ, ძარცვავდნენ და წვავდნენ ყველას და ყველაფერს, ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს... იმ დღეებში 103 კაცი დაიღუპა, მაგრამ სოფლელები ამტკიცებენ, კიდევ უფრო მეტიო.

„მეგონა, ამ ცხოვრებაში ყოველივე ვნახე და გამოვცადე“ — წუხილით აქნევს თავს ზალუბა და იმ ადგილთან მივყავარ, სადაც იმ პირველი თავდასხმის დროს, მისი ერთი ნათესავი დახვრიტეს. დღეს კი მის ქალიშვილს, 5 ბავშვის დედას, ასაფლავებენ. იგი ყუმბარის ნამსხვრევმა იმსხვერპლა. ეს ახალი შეტევის მეოთხე დღეს მოხდა. „სიტყვებით ვერ გადმოსცემ... სარდაფში ვიყავით გამოკეტილი და არ ვიცოდით რა სჯობდა, დარჩენა თუ გარეთ გამოსვლა“. მისმა ჯგუფმა ვერ ისარგებლა რუსების „დერეფნით“, რომელიც სროლის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე გაიხსნა.

კლასიკური სცენარის მიხედვით, რუსი სამხედროები დაემუქრნენ სოფელს, ყუმბარებს დაგიშენთ, თუ კი სამაშკიდან ჩეჩენ მებრძოლებს არ გააძევებთო. მოლაპარაკება დაიწყო, რუსებმა სოფლებისაგან ფულიც აიღეს. სამაშკელებს იმედი ჰქონდათ, რომ კრემლი ვერ გაბედავდა ხელმეორედ დაებომბა სოფელი, არადა, კრემლმა გაბედა, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის გამგებელმა ხელი მოაწერა ე.წ. „საზავო შეთანხმებას“, სოფლის ყოველ სახლში, გამორჩეულ

ადგილას ჯოხარ დუდაევის სურათი ეკიდა. ბელადის პორტრეტი სკოლის ფასადსაც ამშვენებდა. ესე იგი, პირველმა შეტევამ ჭკუა ვერ ასწავლა სოფელს.

„დერეფანმა“ ორი საათი იარსება. შემდეგ კი ტანკები დაიძრნენ და ყუმბარები დააყარეს იმათ, ვინც თავის შველა ვერ მოასწრო. ჯოჯოხეთი ისევ განმეორდა. მაგრამ, ამჯერად, 200-დან 300-მდე ჩეჩენი მებრძოლი დარჩა სამაშკიში და წინ აღუდგა რუსებს. რამდენიმე ღამის განმავლობაში მათ საკონსერვო ქარხანაში გადაჰყავდათ მშვიდობიანი მაცხოვრებლები. ვერტმფრინავებმა დაცხრილეს სოფლელთა კოლონა, რომელიც ფეხით მიჰყვებოდა სატვირთო მანქანას, რომლის ძარაში დაჭრილები იწვნენ. ჯარისკაცებმა ხელყუმბარები დააყარეს ქალების ერთ ჯგუფს. ეს ყოველივე სოფლის გარეთ ხდებოდა, შიგ სოფელში კი რუსებს უპირდათ. ჩეჩენი „ბოევიკები“ შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ ჯარისკაცებს. ტალახში ჩაფლული რამდენიმე ტანკის ჩონჩხიც ამას მოწმობს. ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბორის ბაბორი ირწმუნება, რომ ჩეჩენმა მებრძოლებმა 11 დღეში 5 მძლავრი შეტევა მოიგერიეს. იმ დღეებში იგი ჩეჩენ მებრძოლებს შეყვა სოფელში. 25 მარტს იგი მოწმე გახდა რუსების კიდევ ერთი თავდასხმისა. ავიაცია ბომბავდა სოფელს და 25 კილომეტრით დაშორებულ სოფლებში ფანჯრები იმსხვრეოდა.

26 მარტს რუსეთის სარდლობამ „წმენდის“ დაწყება ბრძანა. მეორე დღეს რუსებმა ნება დართეს ქალებს დაბრუნებულიყვნენ სოფელში. იმათ, ვინც ადრე მოისურვა ეს, შორს წასვლა არ დასცალდათ: 72 ქალიდან თორმეტი მძიმედ დაიჭრა. „ოფიცერმა აგვიხსნა, რომ ჯარისკაცები მთვრალები იყვნენ“ — ყვება ერთი დაჭრილი. მამაკაცებს სოფელში არ უშვებენ: 100-ზე მეტი კაცი სოფლიდან გამოსვლისას დაატყვევეს (მათ შორის 13-14 წლის ბავშვები). ისინი ყველანი „საფილტრაციო ბანაკების“ გზას გაუყენეს, რომელშიც განუკითხაობა მეფობს და ადამიანები ერთმანეთის მიყოლებით უჩინარდებიან. დედები ნანობენ, რომ შვილები ჩეჩენ მებრძოლებს არ ამოუდგნენ მხარში. უბედურებამ მათ საკუთარ სახლებში მოაკითხა.

რუსი ჯარისკაცები ბანაკებს უბრუნდებიან და ბარგი-ბარხანით გამოტენილ ტომრებს მოათრევენ. ეს სამაშკიდან წამოღებული ნადავლია. სამაშკი „ბანდიტებისგან“ ვერა, მაგრამ ყოველივე იმისგან „განწმინდეს“, რაც მცირე ღირებულება მაინც ჰქონდა. „ოფიცრებმა გვიბრძანესო“ — თავს იმართლებენ ჯარისკაცები. რუსების ნაწილები ისევ შემოჭარულნი არიან სოფლის გარშემო. მაგრამ სოფელი, რომელიც მოსკოვის მტკიცებით „საბოლოოდ კონტროლის ქვეშაა აყვანილი“, ისევ მისი მაცხოვრებლის ხელში გადავიდა.

ჯარისკაცები ჟურნალისტებს სოფლის ახლოს არ აჭაჭანებენ, მაგრამ ეს უკანასკნელნი დევნილებს ინგუშეთში ხვდებიან და ესაუბრებიან. ლეტოლვილებთან რუსს ვერ ახსენებ. „ვინღა ისურვებს მათ გვერდით ცხოვრებას?“ — კითხულობენ სხვებზე უფრო თავშეკავებულნი. აი, ჩეჩენი მებრძოლებით კი დაუფარავად ამაყობენ. „ჩვენი მებრძოლების წყალობით ამჯერად ნაკლები მსხვერპლია. ეს, ეგრეთ წოდებული ბანდიტები, სინამდვილეში ჩვენი შვილები არიან და ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, მე თვითონ გავხდებოდი ბანდიტი“ — ამბობს ერთი მოხუცებული ქალი.

ლტოლვილებმა 180 ახალი საფლავი მოიხსენიეს ჟურნალისტებთან საუბარში. შემდეგ კი, იმ „მძიმე დანაკლისზე“ ისაუბრეს, რომელიც რუსებმა განიცადეს ამ შეტევების დროს. მათ ძვირად დაუჯდათ თითქმის მიწასთან გასწორებულ სოფელთან ბრძოლა. ჩეჩნებს 21 მებრძოლი მოუკვდათ. ლტოლვილთა შვილები ხელებს მაღლა სწევენ, რუსულ ვერტმფრენებს „ესვრიან“ და ხმამაღლა გაიძახიან „ალაჰ აკბარ“. სამაშკის მეორე შეტევამ, რომელსაც მშვიდობიან მოსახლეობასა და ჩეჩენ მებრძოლთა შორის თითქოსდა შუღლი უნდა ჩამოეგდო, მიზანს ვერ მიაღწია.

სოფი შიაბი

(მონდი , 2 აპრილი, 1996)

შაკლინ აკარი

ხატი

ქართველის თვალები — კარები უფრთო, ფართოდ შეხსნილი... უცხო მგზავრს ზღურბლთან ეგებება, სკამს შესთავაზებს, ტკბილად მოიკითხავს და ყელის გასაგრილებლად ციქ წყალს, მწიფე ხილს ან მაწონს მიართმევს. მოღონიერებული მგზავრი გზას აგრძელებს...

მაგრამ თუკი ოდნავ დაყოვნდა, ზღურბლს გადააბიჯა და სახლისკენ მიმავალ ღია, ვენახით დაბურულ ტალავერს შეუყვა, წამს აღმოჩნდება იდუმალ წვეულებაზე, მისტერიულ ნადიმზე, ესოდენ რომ ჰგავს ევქარისტიას*.

ქართველის სახლში შეხვალ და... ადამიანის სულის სიღრმეში ჩაიხედავ...

* ევქარისტია — პურითა და ღვინით ქრისტესთან ზიარება.

ვინ იყო ვინ?

გივი ლომინაძე: დღეს პირველად ვამბობ, რომ...

მესამე გვერდიდან

თვითგვემა

— დღეს ყველა აფხაზ სეპარატისტთა დანაშაულზე ლაპარაკობს, მაგრამ ჩვენი მხრიდან დაშვებულ შეცდომებად რა მიგაჩნიათ, რომლის შესახებაც მეტწილად არავინ ლაპარაკობს?

— აფხაზების დადანაშაულებისას, ჩვენს მაპროვოცირებელ ნაბიჯებსა და შეცდომებზეც უნდა ვილაპარაკოთ. თუ 1989 წლამდე აფხაზები ძირითადად იდეოლოგიურ სამზადისს ეწეოდნენ, შემდგომი მოვლენების ტანვითარება ბიძგი ეროვნულმა მოძრაობამ მისცა. დღესაც ვთვლი, რომ რუსეთის გაღიზიანება დიდი შეცდომა იყო. ვინაიდან იმ პერიოდში ჩვენი დაუფიქრებელი, ემოციებსაყოლილი გაუაზრებელი მოქმედება ბუმერანგივით უარყოფითად დაგვიბრუნდა. ყოველი ასეთი ნაბიჯი სეპარატისტებში დამატებითი მობილიზაციის მუხტს ქმნიდა და რუსეთს ერთგულების არგუმენტაციას უძლიერებდა.

ეროვნული მოძრაობის მხრიდან აფხაზეთშიც იგივე პროცესები მიმდინარეობდა, რა ვითარებაც მთლიანად საქართველოში იყო შექმნილი. დამლუპველი აღმოჩნდა ათეულობით პარტიათა წარმომადგენლებით მოსახლეობის ასე დაქაქსვა და დაყოფა. გაერთიანების და ერთიანი ეროვნული პლატფორმის მაგივრად, მათ შორის პარტიული ** ნიშნით დაპირისპირება მოხდა, რაც წყალს სეპარატისტთა წისქვილზე ასხამდა.

ეროვნული ხელისუფლების მოსკლისთანავე — ეროვნული გვარდია ჩამოყალიბდა. ერთ-ერთი შეხვედრისას თ.კიტოვანმა მითხრა, ბატალიონები სხვა რაიონებთან ერთად მიუსერაშიც დადგებაო. მიუსერა კი გუდაუთის რაიონშია და ფაქტიურად, ომის დაწყების რეალური საფრთხე იქმნებოდა. როგორც იქნა გადავაფიქრებინეთ და ალბათ თვითონაც მიხვდა. ხელისუფლებას მსგავსს იდეებს აფხაზეთში მოქმედი ეროვნული ძალების ნაწილი აწვდიდა. მათ შორის მთავარ როლს ბ.კაკუბავა ასრულებდა.

— თქვენ მნიშვნელოვანი თანამდებობა გეკავთ. საინტერესოა ასეთ ვითარებაში როგორ მოქმედებდით, რა პოზიცია გეჭირათ, ან რა საშუალებებით ცდილობდით დაძაბულობის შენელებას?

— მართალია, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო დეპოლიტიზირებულად გამოვაცხადეთ, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო ყველანი პოლიტიკაში ჩათრეულნი აღმოვჩნდით. მხოლოდ ჩვენს სტრუქტურას ჰქონდა იარაღის ოფიციალურად ტარების უფლება და სეპარატისტებიც მის ჭერქვეშ შეფარვას ცდილობდნენ. სწორედ ამ პროცესს ვუშლიდი ხელს, რამაც საბოლოოდ სამინისტროზე თავდასხმა განაპირობა.

არც ერთი პარტიის წარმომადგენელი არ ყოფილვარ. მე გახლდით პასუხსაგები თანამდებობის ქართველი კაცი და ყველა ღონეს ვხმარობდი დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად. ჩემს კაბინეტში ხშირად მოდიოდნენ როგორც საქართველოში მოქმედი პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, ასევე ისეთი ოდიოზური, მტრულად განწყობილ „აიდგილარას“, „კრუნკის“, „სლავიანსკი სახლის“ „სოიუზის“ და სხვათა წარმომაგენლები. ყველას ვხვდებოდი. ხშირად ისინი იყვნენ ამ შეხვედრათა ინიციატორები, ვინაიდან ზოგი აფხაზ, ზოგი ქართველ დამნაშავეთა განთავისუფლებას მოითხოვდა, ან სამინისტროს მიმართ პრეტენზიებს აცხადებდნენ ეროვნულ წარმომადგენლობათა პროპორციაზე და ა.შ. ვთვლიდი და დღესაც ვთვლი, რომ ამ შეხვედრებმა თავისი დადებითი შედეგი გამოიღო, რაც ცალკე საუბრის თემაა. მძარცველებს ომის დროსაც ვიჭერდით, მაგრამ ნახევარ საათში, ესა თუ ის ბატალიონი ალყას გვარტყამდა და დამნაშავის გაშვებას მოითხოვდა. ამიტომაც 1992 წლის 5 ნოემბერს პარლამენტში ყოველივე ამაზე პირუთვნელად განვაცხადე და არც თ.კიტოვანსა და ჯ.იოსელიანს მოვრიდებივარ.

ომამდე, როცა ქართველებს სოფლებიდან ყრიდნენ, მათ ადგილზე დამაგრებას ვცდილობდი, თუმცა ეს ჩემს მოვალეობაში არ შედიოდა. ზოგი პროვოკატორი მადანაშაულებს, თითონენ. მე მაშინ მათ ვუთხარი, რომ ყოველი წუთით დაყოვნება ორივე მხრიდან მსხვერპლის გამომწვევი იქნებოდა.

იმავე ღამეს ჩამოვიდნენ თენგიზ სიგუა და ჯაბა იოსელიანი. საუბრისას აზრი გაიყო. მე, თ.ნადარეიშვილი, თ.სიგუა ჯარის წინსვლის მომხრე ვიყავით, რომ საზღვრამდე დროულად გავსულიყავით. ჯაბამ თქვა, იქნებ არძინბასთან საერთო ენა გამოვძებნოთ რკინიგზის დასაცავად, მაშინ ჯარს შევაჩერებთ და წინსვლაც აღარ დაგეჭირდებაო.

ამ მცდელობის მიუხედავად არძინბამ მათთან შეხვედრას თავი აარიდა. სოხუმიდან ყველაფერი გაიტანა. კიტოვანი მხოლოდ 16 თუ 17 აგვისტოს გამოჩნდა და ცარიელი ქალაქი უბრძოლველად დავიკავეთ. კიტოვანი იმ აზრისა იყო რომ წინსვლა გაგრძელებულიყო, მაგრამ ამ დროისათვის აფხაზებმა გუმისთასთან უკვე დაიწყეს თავდაცვითი ნაგებობების აგება და ფრონტის ხაზიც დაფიქსირდა. 27 აგვისტოს ყარყარაშვილის ნაწილებმა გუდაუთისკენ გაჭრა სცადეს, მაგრამ ვერ შესძლეს. ამის მიზეზებზე მსჯელობა ცალკე საუბრის თემაა. 15 თუ 16 აგვისტოს შედგა ჩემი სატელეფონო საუბარი ბატონ ე.შევარდნაძესთან. იგი კიტოვანს ეძებდა და თან მითხრა, — გივი, ჯარის ქალაქში შეშვება არ შეიძლება, ვინაიდან ამას შეიძლება ყოველნაირი უბედურება მოჰყვეს. ამ სიტყვების რეალობაში სულ მალე დავრწმუნდი. რა ჯარიც გვყავდა, დახლოებით ვიცოდი, მაგრამ ამ დონის თუ იქნებოდა, ვერც წარმოვიდგენდი, თორემ ენგურის ხიდზე გავწვებოდი და მის შემოსვლას წინ აღვუდგებოდი. მართალია, ყველაზე არ ვამბობ, მაგრამ ე.წ. ბატალიონები უმეტესად კრიმინალთა თავშესაფარი აღმოჩნდა. თავდაპირველად ე.შევარდნაძეს მხოლოდ ყარყარაშვილი დაემორჩილა, რომელიც სოხუმში არ შემოვიდა და კელასურთან დაბანაკდა. საერთოდ შემდგომ პერიოდში კიტოვანი აფხაზეთში არ იმყოფებოდა. ძირითადად მასთან სატელეფონო საუბარი მქონდა — აქ ძარცვა-გლეჯა მიდის, ინფორმაცია მაქვს გაგრის დაცემის შესახებ, მინისტრი ხარ, ჩამოდი და მოხედე, თორემ შენს სინდისზე იქნება ყველაფერი — მეთქი. მისი ერთადერთი არგუმენტი ასეთი იყო: მანდ ყარყარაშვილია. მე რომ წამოვიდე, ჯარს ტყვია-წამალს ვინღა მოაწვდისო. თუკი ჩამოვიდოდა ერთი ან ნახევარი დღით, ბატალიონებში დადიოდა და მხოლოდ წუთიერი, არაფრისმომცემი შეხვედრები გქონდა.

— რა დამოკიდებულება გქონდათ აფხაზეთის გასათავისუფლებლად თ.კიტოვანის 13 იანვრის გამგზავრებაზე?

— როგორც სახელმწიფო მინისტრი და დასავლეთ საქართველოში მეთაურის რწმუნებული, კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. თ.კიტოვანთანაც მქონდა საუბარი, რომ მხოლოდ ხელისუფლების მიერ ნებადართულ აქციას დაეუჭერდი მხარს. ასეთ შემოტევას სამეგრელო ვედარ გადიტანდა და მეორე სამოქალაქო ომს ავცდით, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, მათი ძალა აფხაზეთს ვერ აიღებდა, ხოლო სამეგრელოს ისევ სათარეშოდ გაიხდიდნენ.

— სწორად მიგაჩნიათ თუ არა საპარლამენტო სესიაზე კიტოვანის მიმართ წაყენებული ბრალდებები?

— თ.კიტოვანს შეიძლება დაბრალდეს ჯარის გადაადგილების გეგმის კლასიკური განსახიერება. ამის თაობაზე, ალბათ, [illegible] პარაკი, [illegible] სხდომებზე, [illegible] ეროვნული [illegible] პირველ ნიშნად ქართველთა ერთიანობის არქონა აღნიშნეთ. დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ აპარტეიდული საარჩევნო კანონის შესახებ. მაშინ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს პროტესტი რატომღაც არ გამოუთქვამთ. რაში იყო საქმე?

ეს საარჩევნო კანონი მე და იქ მცხოვრებ ქართველებსაც მიუღებლად მიგვაჩნდა. თუ არ ვყვიროდით, ამის მიზეზები გვქონდა. მართალია კანონი აპარტეიდული იყო, მაგრამ მისმა ავტორებმა იმდენი დამცავი მექანიზმი ჩადეს, რომ ქართველების ერთიანობის შემთხვევაში პარლამენტშიც უმრავლესობა ვიქნებოდით იმ 11 სხვა ეროვნების დეპუტატის ხარჯზე. საარჩევნო უბნები ისე დაიყო, რომ შეგვეძლო 8—9 ქართული ორიენტაციის დეპუტატის გაყვანა. მაგრამ იგივე კაკუბავებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ხალხი არჩევნებზე არ წასულიყო. უფრო მეტიც, ვორონოვი იმ უბანში აირჩიეს, სადაც 73 % ქართველი ამომრჩეველი იყო. ამის შემდეგ რაზე უნდა ვილაპარაკოთ? ამ კანონის მიუღებლობის შემთხვევაში, ვფიქრობ, ომი უფრო ადრე დაიწყებოდა.

— აფხაზეთის დასაბრუნებლად რა კონკრეტულ გზებსა თუ გამოსავალს ხედავთ?

— სანამ დაპირისპირება აფხაზეთის ტერიტორიაზე არ გადაინაცვლებს და არძინბასათვის რეალური საფრთხე არ შეიქმნება, პოლიტიკური გზით საკითხის რეალურად მოგვარება შეუძლებლად მიმაჩნია. ამისთვის კი ეროვნული ჯარის აღმშენებლობის ტემპებია დასაჩქარებელი.

ამას ისიც ემატება, რომ დღეს სახელმწიფო ინტერესებით ცოტანი თუ ცხოვრობენ. დანარჩენები კი პირადი ინტერესებით არიან დაკავებულნი. აფხაზეთში ქართული მოსახლეობის დიდი განძი დარჩა. მისი მცირე ნაწილი, თავის დროზე, საერთო ინტერესებისთვის რომ მოგვეხმარა, მაშინ ვედარაფერს დაგვაკლებდნენ. რუსი პირდაპირ კი არა, არამედ დაქირავებული ჯარისკაცით მოდიოდა, რომელთანაც ბრძოლა შესაძლებელი იყო.

სამწუხაროდ, ერთმანეთთან დაპირისპირების გამო ვერ ვივარგეთ. არც სათანადო იდეოლოგია გვქონდა. რომელ გამარჯვებაზე შეიძლებოდა ფიქრი, როდესაც ტელევიზიით ნაჩვენებ საბრძოლო კადრებს ტურისტული რეკლამები ცვლიდა? მთელს საქართველოშიც მსგავსი განწყობა სუფევდა.

პირველი დესანტის გადმოსხმისას, ტამიშში გაქანებული ომი მიმდინარეობდა, ახლომახლო სოფლებში კი მოსახლეობა დროს ატარებდა, ომი არ იგრძნობოდა. სეპარატისტები თავიდანვე მხოლოდ სოხუმის აღებას ფიქრობდნენ და ნაკლებ პირობებსაც წამოგვიყენებდნენ, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ზუგდიდშიც კი აღმოჩნდნენ. წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ღალატი გახლდათ. ფრონტის ხაზს ჯერ სამეგრელო მოწყვიტეს, შემდეგ ოჩამჩირეში მდგარმა 3000 კაციანმა კარგად შეიარაღებულმა ძალამ რატომღაც მდინარე კოდორი ვერ გადალახა. უფრო მეტიც, არავის მოსვლია აზრად გალისა და ოჩამჩირის დაცვა და იქაურობა ისე მიატოვეს, რომ განცვიფრებულმა და გახარებულმა სეპარატისტებმა ენგურთან ძლივს შეიკავეს თავი.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულით მაინც ვერაფერს გავხდებით, თუ ეროვნულ ერთიანობას ვერ მივაღწევთ, თუმცა ამ მიმართებით დადებითი ნაბიჯები უკვე იდგმება. მინდა ვირწმუნო, რომ ეს პროცესი შეუქცევადი იქნება და მას ცალკეული პროვოკატორები, მოღალატეები ვერ შეაჩერებენ.

ესაუბრა
გუგაზ მეგრელიძე

კაკუბავას ეშინია, მის შესახებ არაფერი ვთქვა

— თქვენს წინააღმდეგ, ბორის კაკუბავას არა ერთი მოსაზრება თუ ბრალდება გამოუთქვამს. მათ თაობაზე რას იტყვით?

— ქართული მხარის შეცდომებზე უკვე ვილაპარაკე. მათ აძლიერებდა თბილისიდან მოსული მცდარი ბრძანებები და ადგილებზე ვაიპატრიოტ პროვოკატორთა მიერ შექმნილი ვითომ ბატალიონები. ზოგი მხედრიონს, ზოგი გვარდიას, ზოგიც ბ.კაკუბავასთანა პროვოკატორებს ემორჩილებოდა. მის მიერ პროვოკაცია გახლდათ შეიარაღებული ჯგუფით გაგრაში სანატორიუმ „თბილისის“ დაკავება, ტერორი აფხაზების მიმართ, რამაც ისევ ქართველები დაზარალა.

ომის დაწყებამდე ბ.კაკუბავამ თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებით ბატალიონი ჩამოაყალიბა, რომლის პოლიტხელადაც თავადვე დანიშნა. სოხუმის ცენტრში ტურბაზა დაიკავა. ამ დროისთვის კი არძინბას უკანონო ჯარი აეროპორტსა და მის მიმდებარე ტერიტორიას აკონტროლებდა. მე კი მათ შორის ვიდექი, რომ ომი არ დაწყებულიყო. კაკუბავას მტკიცება, თითქოს კიტოვანზე ზეგავლენა მოვახდინე, არასერიოზულია, ვინაიდან ომის დაწყების გადწყვეტილება სახელმწიფო საბჭომ მიიღო. ამ ბრალდებების საფუძველი ვიცი. კაკუბავას ეშინია, მის შესახებ არაფერი ვთქვა. მინდა ვუთხრა, რომ პროფესიული ეთიკიდან გამომდინარე უახლეს მომავალში მისი გარემოცვის შესახებ არაფერს ვიტყვი და წყნარად ყოფნა შეუძლია. საერთოდ მასზე საუბარი არც ღირს. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ბ.კაკუბავა პროვოკატორის დარღვევა, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა და სხვა. ხაზს ვუსვამ შეიძლება მეთქი იმიტომ, რომ ეს გამოძიების პრერეოგატივაა და არა ჩემი.

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა.

წუთისვენება - იუმორის გვერდი

კურიოზები

ერუანული ბიბლიოთეკა

იუმორის გვერდის დღევანდელი გამოშვების ავტორია
ნოდარ ბრიგალაშვილი

მოულოდნელი ფინალი

ჩვენი ყოფილი ვიცე-პრემიერი რომან გოცირიძე, მოგეხსენებათ, გამსახურდიასდროინდელი პარლამენტის წევრიც გახლდათ. ვისაც მისი გამოსვლები ახსოვს, არ გაუკვირდება ის აგრესია, რომელსაც ე.წ. „კარვის ქალები“ მის მიმართაც ამჟღავნებდნენ.

ერთხელაც კედელ-კედელ მოფარებული კი შეიპარა სესიაზე ბატონი რომანი, მაგრამ იქიდან გამოსული ჩასაფრებულ ქალებს ვეღარ ასცდა...

ის იყო ელდარ შენგელაიას სწვდნენ, რომ გოცირიძეც დალანდეს...

ჰკა მაგასაო, — გადასძახა შენგელაიას ქვედა წელში შევარდნილმა ერთმა ქალმა ახალი მსხვერპლის მოლოდინში „ატამდაზე“ მდგარ მეორე მანდილოსანს. ქალების ჯგუფიდან ერთმა ყველას დაასწრო, — ეს სასიკვდილე მე დამითმეთო, იყვირა განწირულივით და პირველი მიეჭრა ამ ჩვენს ადამიანის უფლებებზე მოღადე დემოკრატ დეპუტატს, სტაცა ხელი და...

კარგა მანდილზედ რომ გააშორა გააფრთებულ ბრბოს, ისეთი რამ უთხრა, სახტად დარჩენილი დეპუტატი მადლიერების გრძნობით მთლად დადნა:

— ბატონო რომან, ნათაძის ნათესავი ვარ, აქ თქვენს საშველად შემოვიპარე, ახლა საშშვიდობოს ხარ და აბა სწრაფად გაუყევი შინისკენო...

ამბავი კარვის ქალთაგან დატყვევებული რომან გოცირიძისა

არც კოკას მოაქვს წყალი ყოველთვის და საბოლოოდ ვერც გოცირიძე გადაურჩა შშვიდობიანად „კარავ ქალაქის“ ბინადართა რისხვას, თუმცა, მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გაჭირვების ჟამს ბედი ისე მოხერხებულად შეატრიალა თავის სასარგებლოდ, ისეთი რამ მოიფიქრა, მსოფლიო კურიოზების ისტორიას დააშვენებდა...

ასე იყო ეს ამბავი. რაღაც ეშმაკად სესია მიატოვა დეპუტატმა და გარეთ „გამოისეირნა“.

მთავრობის სახლის შენობის კუთხიდან, სეირნობა ეგრე არ უნდაო, მოულოდნელად რამდენიმე „ქსენიამ“ ყიჟაღებივით დასცა ყიჟინა და ჩვენი რომანი დაუყოვნებლივ იქნა გასკვანწული.

რაღა ბევრი გავაგრძელო, როგორც ქისტებმა ზვიადაური სასაფლაოზე, ისე „ძიაბრძანეს“ ქალებმა გოცირიძე კარავში.

რატომ მტრობ ჩვენს პრეზიდენტს, შე „კრემლის აგენტოო“ — დაიწყო სასამართლო სხდომა.

გაჭირვებამ გონების ამუშავება სწრაფად იცის...

რას ამბობთ, ქალბატონო, — მოწიწებით უპასუხა რომანმა, — პრეზიდენტის სიყვარულით ამ რაჭველმა კაცმა მეგრულიც კი ვისწავლეო.

აბა, გვითხარი რამე მეგრულადო, — უთხრეს დაეჭვებულმა ქალებმა.

უთხრა და რა უთხრა, „პრეზიდენტის სიყვარულით ნასწავლი“ ისეთი მეგრულით აჟურტულდა ჩვენი რომანი, სიხარულით გადაირიენ კარვის ქალები, დიდი პატივისცემით გამოუშვეს და სთხოვეს, აქ ხშირად შემოგეიარე, სიძედ მოგიყიდეთ, აქ უკვე სამი ქორწილი გადავიხადეთო...

როგორც იმ დღეს, ისე არასდროს ყვარებია გოცირიძეს თავისი მშობლიური გალი, სადაც ის დაიბადა და გაიზარდა...

ქალების «გამოჭერის» ორიგინალური ხერხი

ჟერედელკინოში, მწერალთა პანსიონატში ისვენებს პოეტი გენო კალანდია. მოგეხსენებათ, ქართველი მამაკაცების ამბავი, ჩვენებური დასვენება გულისხმობს მშვენიერი ქალბატონების არმოსვენებას და ამ მხრივ დროის უქმად არხარჯვას.

ჰოდა, ამ მხრივ, სამწუხაროდ, ბატონმა გენომ დასვენებულად კი არა, მეტისმეტად აწრიალებულად იგრძნო თავი, ვინაიდან იმ პანსიონატში, რაღაც ფარსაგად, მოხუცების კი, მაგრამ ახალგაზრდა მანდილოსნის ჰაჰანება არ ჩანდა.

მოწყენილმა და შეფიქრიანებულმა პოეტმა ერთხელაც, თვალი ჰკიდა მშვენიერ ქალბატონებს, რომელნიც სადღაც მიემართებოდნენ.

გაჰყვა გენო და ნახა, რომ პასტერნაკის საფლავზე მიდიოდნენ ეს მშვენიერი არსებანი.

მეორე დილიდან გენო ბატონი პასტერნაკის ყველაზე ერთგულ ჭირისუფლად იქცა.

მივიდოდა მშვენიერი ასული და ხედავდა შორეული საქართველოდან პასტერნაკის სიყვარულით მის საფლავზე ჩამოსულ მწუხარებით აღვსილ პოეტს (ასე აცნობდა გენო თავისი ჩასვლის მიზანს პოეზიისმოყვარულ ქალიშვილებს).

იმათ აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა...

მას შემდეგ ქართველ პოეტს დრო უქმად აღარ დაუკარგავს... ასე იქცა რუსი პოეტის საფლავი ამ ჩვენი შეჩვენებული ქართველი პოეტისათვის სასიყვარულო თავგადასავლების ცენტრად...



ლ. კუდალაშვილის ნახატები

პოეტი გენო კალანდია

აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, დეპუტატი გენო კალანდია ომამდე, როცა ქართველებსა და აფხაზებს ჯერ კიდევ არ გვქონდა ურთიერთისთვის ტყვია ნასროლი, აფხაზ პოეტებთან ერთად პოეზიის საღამოში იღებს მონაწილეობას. საღამოს წამყვანი აფხაზია, მოქმედება აფხაზეთში ხდება.

გამოდის წამყვანი და აუდიტორიას უცხადებს:

ვისტუპაეტ იზვესტნი აფხაზსკი პოეტ — წვინარია.

ვისტუპაეტ ვიდაუშიი აფხაზსკი პოეტ — ჯინჯოლია

ვისტუპაეტ ბლესტიაშიი აფხაზსკი პოეტ — აგრბა

ვისტუპაეტ ველიკიი აფხაზსკი პოეტ — გურგულია

ვისტუპაეტ აფხაზსკი ნაროდნი პოეტ სურსუ

ბოლოს კი, როცა ქართველი გენო კალანდიაც „გაახსენდათ“, წამყვანი აცხადებს:

ვისტუპაეტ კალანდია.

ამდენ „გამოჩენილსა“ და „დიდებულ“ ეპითეტიან პოეტს შორის უეპითეტოდ დატოვებული გენო კალანდია დგება და „საყოველთაოდ ცნობილ“ აფხაზ პოეტებს გაგულისებული მიმართავს — რამდენი მკითხველიც თქვენ გყავთ, იმდენი ბ-ი მყავს-მეო...

ჰოროსკოპი

ვერძი. მოულოდნელი საჩუქარი კვირის დასაწყისში კარგ გუნებაზე დაგაყენებთ.

თუ მგზავრობა მოგიწიათ, აუცილებლად გაემგზავრეთ. ოღონდ უარი თქვით ალკოჰოლზე და აარიდეთ თავი კონფლიქტურ სიტუაციებს.

კურო. კარგი, სასიამოვნო კვირა მოგელით. იტრიალეთ საზოგადოებაში. დამყარეთ კონტაქტები სოლიდურ ცნობილ პიროვნებებთან. ეს თქვენთვის სასარგებლო იქნება და შეიძლება მოგიტანოთ სამსახურებრივი წარმატება.

ტყუპები. დაკავდით პირადი ცხოვრებით და ინტიმური ურთიერთობებით. თუ მოახერხებთ შეინარჩუნოთ კარგი განწყობა, მაშინ მთელი კვირის განმავლობაში საოცრად შრომისუნარიანი იქნებით.

კირჩხიბი. თუ ფინანსური მხარე ხელს გიწყობთ, მაშინ მიაშურეთ მაღაზიებს და ბაზრობებს. თქვენი ვაჭრობა იღბლიანი იქნება... მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს ოჯახში. გაუფრთხილდით თქვენი მეგობრის ჯანმრთელობას.

ლომი. ნუ იაქტიურებთ იმაზე მეტად, ვიდრე ამის საშუალებას თქვენი პარტნიორი გაძლევთ. აქცენტი სამსახურებრივ ურთიერთობებზე გადაიტანეთ. არ გირჩევთ ჩრდილში დგომას, წარმოაჩინეთ თქვენი დადებითი მხარეები.

ქალწული. მთელი კვირა მშვიდი სინდისით შეგიძლიათ საკუთარ თავს მიუძღვნათ. ასიამოვნეთ საკუთარ თავს. გაუკეთეთ მას პატარ-პატარა საჩუქრები, თუ საშუალება გაქვთ ძვირფასსაც ნუ მოერიდებით. გამოიჩინეთ მეტი ფანტაზია და შემოქმედება.

სასწორი. მოსალოდნელია მატერიალური მდგომარეობის გამოსწორება და სასიამოვნო ნაცნობობა, რომელიც შეიძლება ხანგრძლივ მეგობრულ ურთიერთობაში გადაიზარდოს. საქმეში არ გარისკოთ.

ღრიანკალი. ნუ იქნებით ზედმეტად აგრესიული. მშვენიერი კვირა გელოდებათ, თუ თქვენ თვითონ არ შექმნით კონფლიქტურ სიტუაციებს, მოერიდეთ ალკოჰოლს.

მშვილდოსანი. იყავთ რაც შეიძლება მომზიბლავი და ნუ დამალავთ თქვენს პირად ამბიციებს. ეს წარმატებას მოგიტანთ საქმეში. ცოტას მოიწყენთ თქვენი ახლობლის ავადმყოფობის გამო.

თხის რქა. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, ნუ ინერვიულებთ ყველა წვრილმანზე. შეინარჩუნეთ კარგი განწყობილება და საერთოდ შეეცადეთ ამ კვირაში დაისვენოთ. ნუ აჰყვებით ემოციებს.

მერწყული — სამწუხაროდ ფინანსური პრობლემების გადაჭრას ამ კვირაში ვერ მოახერხებთ. სამაგიეროდ პირად ცხოვრებაში სასიამოვნო კვირა გელით. დაგირეკავთ ნაცნობი, რომელიც თითქმის გადაგავიწყდათ და სრულიად უსაფუძვლოდ...

თევზები — გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. მოერიდეთ მჭრელ ნივთებს და ნუ მიეძალებით ალკოჰოლს. გირჩევთ მთელი დრო საკუთარი გარდერობის შევსებას დაუთმოთ, რა თქმა უნდა ფინანსები თუ გაძლევთ ამის საშუალებას.

და ჰყავდა პრეზიდენტს ერთგული მინისტრი...

რუსეთის საზოგადოებას აღელვებს დუმაში მომხდარი სკანდალი. გენერალმა გრაჩოვმა თავისი გამოსვლისას გამოთქვა უკმაყოფილება პრეზიდენტის მიერ მიღებული პროგრამის გამო, რომელიც ითვალისწინებს ჩეჩნეთის პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტას. ამასთან ერთად მან დააკისრა მთელი პასუხისმგებლობა ქვეყნის ხელმძღვანელს ამ მოჯანყე რესპუბლიკაში მომხდარ მოვლენებზე და ამით თავიდან აიცილა პასუხისმგებლობა იმ მოვლენებზე, რომლებიც განვითარდა სოფ. იარომ-რარდისთან და შეიწირა ათობით ჯარისკაცისა და ოფიცრის სიცოცხლე.

კრემლში თავი ისე დაიჭირეს, თითქოს ვერ შენიშნეს ეს პირდაპირი გამოხდომა რუსეთის პრეზიდენტის წინააღმდეგ. ამის მიუხედავად, ხმები თავდაცვის მინისტრის გადადგომის შესახებ კიდევ ცირკულირებს. ეს პირველადი ტალღა არ არის ხმების გავრცელებისა, ასე ამტკიცებენ ექსპერტები.

გრაჩოვი შეიძლება გინესების წიგნში იქნეს შეტანილი იმ უამრავი ვერსიის გამო, რომელიც გავრცელდა მისი გადადგომის შესახებ. ოთხი წლის მანძილზე 1992 წ. 18 მაისიდან დღემდე ეს მოხდა ოცდაათზე მეტჯერ, მაგრამ მინისტრი ისევ მინისტრად რჩება.

ამ წიგნს მე კი ვაწერ ხელს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ პასუხს ვაგებ მასზე. უცნობი ვხდები ცნობილი, მაგრამ არა სახელის პიროვნული განდიდებისათვის, არამედ იმ სახელოვნებისთვის, რომელიც უფრო მიიპყრობს ადამიანთა ყურადღებას ჩემს მიერ ამბად მოტანილი მოძღვრებების მიმართ. ასეა, სახელი თავბრუს დაახვევს ბრიყვს, მაგრამ ბრძენთათვის საქმეში მეტად მოხერხებული მომენტია. ეს ამბავი უსასრულობის წიაღში დაიბადა. სამყაროს დედამ ჩამჩურჩულა უსასრულობის ფორმულა. გამახსენდა რისთვის მოვედი დედამიწაზე და დროულად გამცნობთ საჭირო ცოდნას... ასე რომ, მე მხოლოდ დედის დავალებას ვასრულებ და მიხარია მახარობლობა.

თამაზ თავაძე

ძვირფასო მკითხველო, ვისაც ეს არაორდინალური წინასიტყვა გადაჭარბებულად მოეჩვენება, ვთხოვთ, შეიძინოს და წაიკითხოს ბატონ თამაზ თავაძის ეს წიგნი. სრული რწმენით ვაცხადებთ: თქვენი ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღისათვის იგი შეუცვლელ მშველელად იქცევა და სრულიად ახალ სამყაროს ეზიარებით.



მე-11 კლასის მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და ქართული ლიტერატურის მასწავლებელთა საყურადღებოდ!

თბილისის საგაზეთო ჯიხურებში იყიდება ნოდარ გრიგალაშვილის წიგნი „ნიკო ლორთქიფანიძე“, რომელშიც წარმოდგენილია მწერლის ბიოგრაფია და განხილულია ნიკო ლორთქიფანიძის საპროგრამო ნაწარმოებები.

წიგნის ფასია 1 ლარი

ჩვენი მკითხველებისათვის „საქართველოს“ რეკლამა არ სჭირდება. მხოლოდ გაცნობებთ, რომ შიმდინარეობს ხელმოწერა გაზეთ „საქართველოზე“

კროსვორდი



თარაზულად: 5. შვეიცის პრემიერ-მინისტრი, 1986 წლის მარტში მოკლული; 6. პარლამენტის ზედა პალატა გფრ-სა და ავსტრიაში; 8. უფერო, გაზისებრი საწვავი ნივთიერება; 9. ჰომეროსის პოემა; 12. ამერიკული მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდების სერიის სახელწოდება; 13. ხელმწიფე, რომელმაც მიიღო რუსეთს გადახვეწილი ვახტანგ VI; 14. სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი; 15. სამხედრო წოდება; 16. შტატი ამერიკაში; 18. ქალაქი ჩინეთში; 20. სამეფო დინასტია ინგლისში 1461-85 წლებში; 22. რუსეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; 26. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 28. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს და ამ ტერიტორიაზე არსებული ქვეყნის სახელწოდება ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში; 31. საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის მოღვაწე; 32. ქალაქი, რომელშიც 1973-75 წლებში ჩატარდა თათბირი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ; 33. საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელი; 34. მამაკაცისადმი მიმართვა ესპანეთში; 35. მწერალი, რომელმაც რომანში „93 წელი“ ასახა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ამბები; 36. ქალაქი — ნავსადგური ესპანეთში; 38. კათოლიკური მონასტრის წინამძღვარი; 39. ამომრჩეველთა წრე საპარლამენტო, საპრეზიდენტო ან მუნიციპალური არჩევნების დროს; 40. მდინარე საქართველოში (აფხაზეთში);

შვეულად: 1. ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე; 2. ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის დედაქალაქი; 3. ვნებიანი ქალბატონი, ქალაქის თავის, ნოშრევანის მეუღლე (ფილმი „ლონდრე“); 4. ვინ იცის, იქნებ რუსეთის პრეზიდენტი გახდეს... 5. ბელორუსიის სახალხო ფრონტის ლიდერი, ცნობილი ოპოზიციური მოღვაწე; 6. ინგლისელი პოეტი, იტალიის განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილე; 7. ქართველი თავადი, რუსეთის იმპერატორის, პავლე I-ის ერთ-ერთი მკვლელი; 10. ტყავის სახესხვაობა; 11. რომის იმპერიის პროვინცია; 17. უკრაინის პრეზიდენტი; 18. ბუჩქოვანი მცენარე მომჟავო-მოტკბო ნაყოფით; 19. ჭეჭა-ჭუხილისა და ქარიშხლის ღმერთი ინდურ მითოლოგიაში; 21. XIII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, თურქეთში დარჩენილი; 23. ცნობილი ესპანელი მომღერალი; 24. წარმოდგენა, რომელშიც მსახიობი თანდათანობით შიშვლდება; 25. თეატრში, მსახიობის მიერ მოკლული აშშ პრეზიდენტი; 27. პერსონაჟი ნ.დუმბაძის ნაწარმოებისა „საბრალდებო დასკვნა“; 29. ინგლისსა და აშშ-ში გავრცელებული ბანქოს თამაში; 30. გაზეთი, რომლის ნაპერწკლებმა სოციალისტური რევოლუციის ცეცხლი დაანთეს; 31. ქართველი მწერალი და დრამატურგი; 36. უსაფუძვლო ტრაბახი, რისმე შეთხზვა ვისმე მოსატყუებლად; 37. თურქეთის აწ განსვენებული პრეზიდენტი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ფასი: 50 თეთრი

ტელეფონები:
მთავარი რედაქტორი — 93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი — 93-18-41